წლიწადი მეცამეტე
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
# კომუნისტი
საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. სცაკის ორგანო
ტელეფონები: პასუხისმგ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—20—17, სამდივნოსი 10—58, მთ. კანტორის—3—31.
შაბათი, 11 ნოემბერი 1933 წ. № 259 (3815)

საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, სამხარეო აღმასკომებს, საოლქო აღმასკომებს და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის 19 იანვრის დადგენილების თანახმად, საკოლმეურნეო ვაჭრობა პურით ნებადართულია მხარეებსა, ოლქებსა და რესპუბლიკებში მას შემდეგ, რაც მხარე, ოლქი, რესპუბლიკა მთლიანად შეასრულებენ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულებებს ყველა სახის ჩაბარების და ყველა სექტორის მიხედვით (მარცვლეულის ჩაბარება, ნატურ-ანაზღაურება, პურის ჩაბარება საბჭოთა მეურნეობების მიერ, მარცვლეულის სესხის დაბრუნება) და მას შემდეგ, რაც მთლიანად იქნება გამოყოფილი სათესლე და დასაზღვევი ფონდები.

დღეისათვის მთელმა რიგმა მხარეებმა, ოლქებმა და რესპუბლიკებმა მთლიანად შეასრულეს პურის ჩაბარების თავიანთი ვალდებულებანი ყველა სექტორის მიხედვით. პურით საკოლმეურნეო ვაჭრობის გამოცხადება ამ მხარეებსა და ოლქებში ფერხდება მხოლოდ იმის გამო, რომ მათში ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის სათესლე და დასაზღვევი ფონდების გამოყოფა კოლმეურნეობებში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო გაფრთხილებას იძლევიან, რომ პურით საკოლმეურნეო ვაჭრობა არ შეიძლება ნებადართული იქნას, სანამ კოლმეურნეობებში მთლიანად არ იქნება გამოყოფილი სათესლე და დასაზღვევი ფონდები.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო წინადადებას აძლევენ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, სამხარეო (საოლქო) აღმასკომებს და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს იმ მხარეებში, ოლქებში და რესპუბლიკებში, რომლებმაც მთლიანად და ყველა სექტორის მიხედვით შეასრულეს პურის ჩაბარების ვალდებულებანი, დააჩქარონ სათესლე და დასაზღვევი ფონდების გამოყოფა და ამით საშუალება მისცენ ჩქარა დაიწყონ და გაშალონ საკოლმეურნეო ვაჭრობა პურით.

ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **ვ. მოლოტოვი** (სკრიაბინი).
საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი — **ი. სტალინი.**

ოქტომბრის რევოლუციის წლისთავისათვის

ამხ. მოლოტოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო პლენუმზე 6 ნოემბერს

1. მსოფლიო განვითარების ორი ხაზი

ამხანაგებო! ა.-წ. დამდეგს ჩვენ შევაჯამეთ პირველი ხუთწლედის შედეგები. ამ შედეგებში თავისი გამოხატულება პოვა სოციალიზმის გრანდიოზულმა ზრდამ საბჭოთა კავშირში და სსრკ-ის საშინაო და საერთაშორისო პოზიციების გიგანტურად განმტკიცებამ ოქტომბრის რევოლუციის პირველი ხუთმეტი წლის განმავლობაში. ამ შედეგებმა, ამასთან ერთად, ჯვარი დაუსვა ოქტომბრის რევოლუციის მტრების მრავალი უმრავლეს „წინასწარმეტყველებას" ბურჟუაზიის ბანაკიდან, რომელნიც გვიქადდენ ხუთწლედის ჩაშლას და მასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებასაც. საუკეთესო ილუსტრაციას ამხ. სტალინის ცნობილი მოხსენებისათვის პირველი ხუთწლედის შედეგების შესახებ, რომელმაც მიიპყრო არა მარტო ჩვენი ქვეყნის მშრომელთა, არამედ საბჭოთა კავშირის გადაღმა ოქტომბრის რევოლუციის მრავალი მილიონი მეგობრის ყურადღებაც, —წარმოადგენს ა.-წ. გაზაფხულზე გამოცემული წიგნი სახელმწიფო საგეგმო კომისიისა— „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგები". ეს წიგნი. დიდძალი ფაქტებით და ციფრებით, რომელნიც აშუქებენ ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილ გზას, შესწავლილ უნდა იქნას, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის დოკუმენტი. განსაკუთრებით ეს უნდა ვურჩიოთ მოსწავლე ახალგაზრდობას. მას შემდეგ, რაც ჩვენ პირველი ხუთწლედის შედეგები შევაჯამეთ, ერთ წელზე ნაკლებმა განვლო. ახლა, ოქტომბრის რევოლუციის მე-17 წლის მიჯნაზე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირში სოციალისტური რევოლუციის განვლილი წელიც არის მისი ძალების შემდგომ უდიდეს ზრდის წელი, მუშათა კლასის ახალ მიღწევათა წელი.

განვლო კიდევ ერთმა წელმა, როცა, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მთელი ძალღონე მიმართული იყო სოციალისტური მეურნეობის და კულტურის განვითარების საშინაო ამოცანებისადმი. ა.-წ. მშენებლობის გეგმამ კიდევ უფრო მეტად, ვიდრე წინათ, გამოხატა იმ უდიდესი შემოქმედებითი მუშაობის გაქანება, რომელიც საბჭოთა კავშირში ხორციელდება. ა.წ. დაკვრითი მშენებლობათა მარტო ერთმა სიამ გაზეთის თითქმის მთელი გვერდი დაიკავა. დაკვრითი მშენებლობათა კაპიტალური დაბანდებანი კი მშენებლობისათვის გაღებული თანხების ერთ მეოთხედზე ცოტა მეტს თუ შეადგენენ, ოქტომბრის რევოლუციის წარმატებებს გასულ წელს მეტყველებს ისეთი ფაქტები, როგორიცაა ახალ უდიდეს სამრეწველო საწარმოთა ამუშავება. მათ რიცხვს ეკუთვნიან ისეთები, როგორიცაა ჩელიაბინსკის მუხლუხოვანი ტრაქტორების ქარხანა, ურალის მსხვილი მანქანათმშენებელი ქარხანა, ლუგანსკის მძლავრი ორთქლმავლების ქარხანა, მოსკოვში ბურთობ-საკისურების უზარმაზარი ქარხნის მშენებლობის მოთავება, ბობრიკოვოში უდიდესი ქიმიური კომბინატის პირველ რიგის მშენებლობის დამთავრება, ამიერკავკასიაში ყველაზე უფრო მსხვილი ელექტროსადგურის — რიონჰესის აგება და ბევრი სხვა მსხვილი სამრეწველო საწარმო. გვითხარით, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში შენდება ახლა ასეთი ქარხნები, ასეთი სამრეწველო საწარმოები! მონახეთ დედამიწის რუქაზე ისეთი ქვეყანა, სადაც შეიძლებოდეს მსგავს რაიმეს აღნიშვნა ახალი სამრეწველო მშენებლობის დარგში გასულ წელს?

ამასთან ერთად, ჩვენ ახალი ნაბიჯი გადავდგით სოფლად კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ზრდისა და განმტკიცების საქმეში. ვერავინ უარყოფს, რომ საბჭოების ქვეყნის სოფლის მეურნეობა მტკიცედ შევიდა სწრაფი წინსვლის ხანაში. ყველა და ყოველგვარი სიძნელის მიუხედავად, **ჩვენი განვითარების საერთო ხაზი არის გადაუხრელი აღმავლობის ხაზი, კულტურის ძლიერი ზრდის ხაზი,** საბჭოთა კავშირში **სოციალიზმის გიგანტური განმტკიცების ხაზი.** პირველი ხუთწლედის წარმატებებიდან ჩვენ გადავედით მეორე ხუთწლედის ამოცანებზე, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ამოცანებზე და ამ გზით წარმატებით მივდიოდით წინ. ჩვენი ბრძოლა სოციალიზმის გამარჯვებისათვის განუყრელად დაკავშირებული იყო იმ საშვიდობო პოლიტიკასთან, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებდა: იგი დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვან ეროვნებათა ძმური თანამშრომლობის განვითარებასთან, სოციალისტური კულტურის განვითარებასთან მისი ნაციონალური ფორმების მთელი მრავალფეროვანობით, და; ამას გარდა, გვაქვს საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცება მთელი მსოფლიოს ერებთან.

სხვა, ამის საწინააღმდეგო ხაზით წარმოებდა კაპიტალისტური ქვეყნების განვითარება. ეკონომიური კრიზისი, აი უკვე მეოთხე წელიწადია ზედიზედ ღრღნის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, მიუხედავად ბურჟუაზიის მმართველი ჯგუფების სხვადასხვა ცდისა, რომ მიაღწიონ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის გაცხოველებას. კაპიტალიზმი დღემდის თავს ვერ აღწევს იმ ორმოს, რომელშიაც იგი ჩავარდა უკანასკნელ წლებში. მუშების და გლეხების უმუშევრობა და შიმშილი იზრდება. კაპიტალიზმის ქვეყნებში გროვდება ამაფეთქებელი რევოლუციური ძალები, მიუხედავად ბურჟუაზიის მხრივ მათი ძირფესვიანად აღმოფხვრის ცდისა. კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებული კლასების პოლიტიკაში გაძლიერდენ ფაშისტური ტიპის უკიდურესად რეაქციული ძალები. ისინი ხელფეხს უხსნიან ბურჟუაზიული რეაქციის ძალებს, აღვივებენ ნაციონალიზმის და, განსაკუთრებით, ანტი-სემიტიზმის ბნელ ვნებათა ღელვას. რასაც უნდა ამოეფაროს გამხეცებული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ეს პოლიტიკა, მისი აზრი, ბოლოსდაბოლოს, ისაა, რომ ბურჟუაზია შეშინებულია თავისი არსებობისათვის და დაადგა პოლიტიკის თავისებურ ფორმას — „თავს უშველე, ვისაც შეგიძლიაო". სოციალ-დემოკრატიის კრახი და მეორე ინტერნაციონალის დაშლა მხოლოდ ხაზს უსვამს მიმდინარე ამბების აზრს, როცა კომუნიზმთან ბრძოლაში ბურჟუაზია სულ უფრო და უფრო ამჯობინებს უკიდურეს საშუალებებს, ამჯობინებს მუშათა კლასის მიმართ, რევოლუციური ელემენტების მიმართ რეაქციული ძალების პირდაპირი ძალადობის მეთოდებს. პოლიტიკა ამ ბურჟუაზიული რეაქციული ძალებისა, რომელნიც კაპიტალისტურ ქვეყნებში უახლოვდებიან, ან უკვე მიახლოებიან ხელისუფლებას, გამსჭვალულია ცხოველური შიშით კომუნიზმის წინაშე, მისი მზარდი ძალების წინაშე. ამ პოლიტიკის დამახასიათებელი ნიშანი ხდება მისწრაფება დაამყარონ იმედი ომზე, როგორც გამოსავალზე იმ ჩიხოდან, რომელშიაც კაპიტალისტური ქვეყნები კრიზისსა და მეურნეობის მოშლას მოუქცევია. ბურჟუაზიის რიგებში სულ უფრო და უფრო იზრდება უიმედობა კრიზისიდან გამოსავლის შინაური გზების გამონახვის შესაძლებლობისა, იმის შესაძლებლობისა, რომ დასძლევენ მზარდ საშინაო წინააღმდეგობებს, წინააღმდეგობებს კაპიტალისტებსა და ექსპლოატატორების ბანაკს შორის, ერთი მხრით, და მუშებსა და მშრომელთა ბანაკს შორის, მეორე მხრით. **გაბატონებული ბურჟუაზიულ ძალების ძირითადი ხაზი სულ უფრო და უფრო არის იმედის დამყარება ომზე** გადამწყვეტ კაპიტალისტურ ქვეყნებში ამჟამად გაჩაღებული შეჯიბრება შეიარაღების მხრივ მოწმობს ახალი იმპერიალისტური ომების სულ უფრო და უფრო მოახლოვებას და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საფრთხის გაძლიერებას. ერთა ლიგის რღვევა და განიარაღების კონფერენციის უმწეობა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იმპერიალიზმის ბანაკში ხელისუფლებას ეტანებიან ის ძალები, რომელნიც იმედს ამყარებენ ომზე, როგორც იმ უღრმესი კრიზისიდან თავის დაღწევის საშუალებაზე, რასაც მთელი კაპიტალისტური სისტემა განიცდის.

ყველაფერი ეს ხაზს უსვამს, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის, ხოლო მეორე მხრივ—კაპიტალისტური მსოფლიოს განვითარების დაპირდაპირებას. ოქტომბრის რევოლუციის მეთექვსმეტე წლის თავზე ჩვენ უფრო მეტად, ვიდრე როდესმე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძალთა განწყობილებაში სულ უფრო და უფრო მეტი გადაჯგუფება ხდება სოციალიზმის სასარგებლოდ, კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ჩვენს წარმატებებს ვაღწევთ მტრულ კლასობრივ ძალებთან დაძაბული ბრძოლით. ამასთან ჩვენ გვიხდება ანგარიშის გაწევა იმისათვის, თუ როგორ იცვლიან კულაკობის და ქალაქად ბურჟუაზიული კლასების ნაშთები თავის ტაქტიკას და კვლავ გვიქმნიან დაბრკოლებებს. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის უკანასკნელმა წელმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს, რომელიც ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მიდის, გააჩნია დაუშრეტელი ძალები ყველა და ყოველგვარი სიძნელის გადალახვისათვის. პურის საკითხი ყოველთვის იყო უმნიშვნელოვანესი საკითხი, საბჭოთა სახელმწიფოსათვის. დამზადების ძველი ტიპიდან მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებაზე გადასვლით და მთელი რიგი სხვა ღონისძიებებით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ წელს პურის საკითხში ჩვენ საგრძნობლად უკეთ უზრუნველვყოფთ ჩვენ საჭიროებას, ვიდრე გასულ წელს. მუშათა მომარაგების საკითხი ჩვენი მრეწველობის უდიდესი ზრდის პირობებში ყოველთვის იდგა პარტიის გადამწყვეტ ამოცანებს შორის. მომარაგების ახალ სისტემაზე გადასვლით, მუშათა მომარაგების განყოფილებათა ორგანიზაციით, წელს ჩვენ მივაღწიეთ საქმის თვალსაჩინოდ გაუმჯობესებას. უდავოა, რომ ჩვენ შეგვიძლია სწრაფად გავაუმჯობესოთ ეს საქმე შემდგომაც. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ მთელი რიგი ორგანიზაციული ღონისძიებებით სოფლის მეურნეობის მიმართ, უწინარეს ყოვლისა კი, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებთან პოლიტგანყოფილებათა მოწყობით, ჩვენ თვალსაჩინოდ გავაუმჯობესეთ საკოლმეურნეო მოძრაობის და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობა. ეს ახალი მეთოდები და ახალი ორგანიზაციული ღონისძიებები მიგვაჩნია პროლეტარული რევოლუციის ზრდის დაუშრეტელ შესაძლებლობათა და სოციალიზმის მშენებლობის საქმის მიმართ პარტიის ხელმძღვანელობის დიდი ოსტატობის დამადასტურებელ ახალ უდაო საბუთებათ.

2. ახალ წარმოებათა და ახალი ტექნიკის ათვისება—მთავარი ამოცანაა

რაში მდგომარეობს ამჟამად ჩვენი მთავარი ამოცანა? პარტიამ ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი მოგვცა. ეს პასუხი ჩამოაყალიბა ამხ. სტალინმა ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმზე: „პირველი ხუთ[illegible] გვექმნა ენტუზიაზმი, **ახალი მშენებლობის** პათოსით და გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიეთ. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ამჟამად ეს აღარ კმარა. ახლა ამ საქმეს ჩვენ უნდა დავუმატოთ ახალი ქარხნების და ახალი ტექნიკის **ათვისების** ენტუ[illegible] რიოზულად გადიდება, თვითღირებულების სერიოზულად შემცირება. **ეს არის ამჟამად თავიდათავი".**

ამ მითითებების საფუძველზე პარტიამ მიაღწია მუშათა კლასის ყველა საუკეთესო ელემენტის შემჭიდროებას და აწარმოებს ბრძოლას აღნიშნულ მითითებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის. ამავე საფუძველზე წარმოებს კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ძალების მობილიზაცია. ოქტომბრის რევოლუციის 16 წლის განმავლობაში ჩვენ ავაშენეთ მრავალი ახალი ფაბრიკა და ქარხანა, მათი რიცხვი დღითი-დღე იზრდება, ამ ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობს აურაცხელი მუშა და მოსამსახურე, ნუ დაგვავიწყდება, რომ პირველი ხუთწლედის მანძილზე ჩვენს მრეწველობაში დაბანდებულ მუშა-ხელის რაოდენობა ერთი ორად გაიზარდა. დაწინაურდა მრავალი ახალი სამეურნეო ხელმძღვანელი. ტექნიკურ ხელმძღვანელად იქცა მრავალი ათი ათასი ახალგაზრდა სპეციალისტი, ასეთ მდგომარეობაში აგასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამჟამად ახალ საწარმოთა და ახალი ტექნიკის ათვისების ამოცანას. თუ სამრეწველო პროდუქციის ნამატი გასულ წელს რამდენადმე უფრო ნაკლები, იყო, ვიდრე წინა წლებში, ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ საქმეს აფერხებს სწორედ ათვისების საკითხი, რომ ჩვენ ჩამოვრჩით ამ საქმეში. ძველი ქარხნები და ფაბრიკები ამჟამად დატვირთულია გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე რევოლუციამდე. ბევრი მათგანი მუშაობს ორ ცვლად და კიდევ უფრო მეტსაც. როგორც ძველს, ისე ახალ საწარმოებს დაკვეთები ჭარბად აქვთ. საქმე მხოლოდ ისაა, რომ ნამდვილად გამოვიყენოთ ის გადიდებული საწარმოო შესაძლებლობანი, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, მაშინ ჩვენ თვალსაჩინოდ გავადიდებთ მრეწველობის პროდუქციის წლიურ ნამატს და მის ხარისხს, მივაღწევთ მუშის შრომის ნაყოფიერების სერიოზულად გადიდებას და თვითღირებულების სერიოზულად შემცირებას. სწორედ აქეთ არის მიპყრობილი პარტიის და მთავრობის მთავარი ყურადღება.

ახალ საწარმოთა და ახალი ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლა სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს როგორც სამეურნეო და ტექნიკურ ხელმძღვანელებს, ისე მუშებს და მუშა-ქალებს. იგი მოითხოვს შრომის უკეთეს ორგანიზაციას და სამეურნეო კადრების სათანადოდ განაწილებას, იგი ვერ ურიგდება უგეგმობას, საწარმოებსა და საამქროებში, დაუდევრობას ტექნიკური ინსტრუქციების საქმეში, მანქანების და დაზგების უქმ მუშაობას. იგი ვერ ურიგდება სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობის სიბეცეს და ჩამორჩენილობას. იგი, ამასთან ერთად, მოითხოვს შრომის მტკიცე დისციპლინას, მუშა-ხელის გამოყენებისადმი ფხიზელ დამოკიდებულებას, სოც-შეჯიბრებისა და დამკვრელობის განვითარებაში აქტიურობას მუშების და ოსტატების ტექნიკური ცოდნის ყოველმხრივ ამაღლებას. იგი მოითხოვს როგორც მუშებისა ისე სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელების კულტურული დონის ამაღლებას. ჩვენ ახალი ტექნიკის ათვისების საქმეში არსებითი მიღწევები გვაქვს, ეს შეიძლება მაგალითებით ცხადვყოთ.

გავიხსენოთ, თუ როგორ მიმდინარეობდა სატრაქტორო მშენებლობის ტექნიკის ათვისება ჩვენს ქარხნებში. ცნობილია, როგორ გვიძნელდებოდა წარმოების მოგვარება პირველ წელს სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაში. მაგრამ გამოიყენა რა ამ ქარხნის გამოცდილება, ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა რამდენიმე თვეში დადგა ფეხზე და, როგორც ვიცით, ამჟამად ორივე ქარხანამ სავსებით მიაღწიეს თავის საპროექტო საწარმოო სიმძლავრეს. კიდევ უფრო მეტ სიძნელეებთან უნდა გვქონოდა საქმე ჩელიაბინსკის ქარხანაში მუხლუხოვანი ტრაქტორების წარმოების მოგვარების დროს. მაგრამ სატრაქტორო მშენებლობაში დაგროვილი გამოცდილების შემდეგ ტექნიკის ათვისება აქაც წარმატებით მიმდინარეობს და ქარხანა ასრულებს მიცემულ საწარმოო დავალებებს.

მეტად დამახასიათებელია მაგნიტოგორსკის ბრძმედების მაგალითი. ისინი ეკუთვნიან მსოფლიოში უდიდეს ბრძმედების რიცხვს, რომელთა მსგავსი წინათ არასოდეს არ აუგიათ ჩვენს ქვეყანაში (თვითეული მათგანის საპროექტო სიმძლავრე 1.070 ტონაა დღე-ღამეში). პირველი ბრძმედი ამ ქარხანაში ამუშავდა გასული წლის დამდეგს, მეორე—გასული წლის შუა რიცხვებში, მეორე ბრძმედის ამუშავებიდან ერთი წლის შემდეგ — მიმდინარე წლის შუა რიცხვებში ამუშავდა მაგნიტოგორსკის მესამე ბრძმედი. ყველა ეს სამივე ერთნაირი სიმძლავრისაა, მაგრამ ისინი სხვადასხვა საწარმოო შედეგებს იძლევიან. პირველმა ბრძმედმა, რომლითაც დაიწყო ახალი საბრძმედე წარმოების ათვისება, ყველაზე მეტი სიძნელე განიცადა და ჯერჯერობით ვერც ერთ თვეში ვერ მოგვცა საშუალო სადღე-ღამისო პროდუქცია, რომელიც უნდა აღწევდეს 800 ტონას. მეორე ბრძმედმა უკანასკნელი თვეების განმავლობაში არა ერთხელ მოგვცა სადღეღამისო პროდუქცია 800 ტონას რაოდენობით და კიდევ მეტი, მხოლოდ მესამე ბრძმედი რომელზედაც გამოყენებული იქნა პირველი ორი ბრძმედის გაკვეთილები, გვიჩვენებს, თუ რას ნიშნავს ახალი ტექნიკის ნამდვილად ათვისება. ამ ბრძმედმა სექტემბერში მოგვცა სადღეღამისო პროდუქცია დაახლოვებით 1.100 ტონა, ხოლო ოქტომბერში მისი სადღეღამისო პროდუქცია უკვე 1.200 ტონას აღწევდა. ამგვარად, მესამე ბრძმედმა, რომელიც სულ 5 თვეა მუშაობს, უკანასკნელი ორი თვის (სექტემბერი-ოქტომბერი) განმავლობაში მიაღწია საშუალო სადღეღამისო პროდუქციას, რომელიც მის საპროექტო სიმძლავრესაც კი აღემატება. ეს მაგნიტოგორსკელი ამხანაგების სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობის დიდი მიღწევაა, ეს მაგალითი განსაკუთრებით მკაფიოდ ცხადყოფს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბრძოლას ახალ საწარმოთა ათვისებისათვის, ახალ მოწყობილობის ათვისებისათვის, ახალი ტექნიკის ათვისებისათვის. ახალ საწარმოთა დიდი უმრავლესობა, რომლებიც აგებულია უკანასკნელი წლების განმავლობაში, ჩვენ უნდა გვაძლევდეს გაცილებით უფრო მეტ პროდუქციას, ვიდრე ამჟამად გვაძლევს. ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს ენერგიაზე, ორგანიზებულობაზე და შეგნებაზე ამ ახალ საწარმოთა ათვისებისათვის ბრძოლაში.

არა მარტო ცალკე საწარმოები, არამედ მრეწველობის მთელი დარგებიც, ტექნიკურად გარდაიქმნენ უკანასკნელ წლებში. ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს დონბასის და სხვა რაიონების ქვანახშირის მრეწველობა. მაგრამ, სწორედ მრეწველობის ეს ტექნიკური გადაიარაღება სამეურნეო და ტექნიკურ ხელმძღვანელობას ახალ, კიდევ უფრო სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ აღნიშნულია სსრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში დონბასის შესახებ, ხოლო შემდეგ სსრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ.

ამ დადგენილებებში პარტიამ და მთავრობამ დაუზოგავად გააკრიტიკეს ჩვენი სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობის დეფექტები მეურნეობის უდიდეს დარგებში. აღნიშნულმა დადგენილებებმა ლახვარი ჩასცა სამეურნეო მმართველობის კანცელარიულ-ბიუროკრატიულ მეთოდებს. პარტიამ და მთავრობამ გადაჭრით მოითხოვეს გაბერილი სამმართველო აპარატების შემცირება, საუკეთესო ტექნიკური ძალების გადაყვანა კანცელარიებიდან წარმოებაში, მუშათა შრომის ხელფასის გარდაქმნა უფრო კვალიფიციური მუშებისა და დამკვრელებისადმი ყურადღების გაძლიერების თვალსაზრისით და განმანადგურებელი წინააღმდეგობის გაწევა ოპორტუნისტული თვითდინებისა და ლაყბობისათვის საწარმოო გეგმების „არარეალობის" შესახებ.

ამ გადაწყვეტილებებთან შეფარდებით ჩატარდა უდიდესი მუშაობა დონბასის და სხვა რაიონების ქვანახშირის მრეწველობის, აგრეთვე რკინის გზის ტრანსპორტის მმართველობის გარდაქმნის დარგში. არ შეიძლება ითქვას, ეს მუშაობა ბოლომდე მიყვანილი იყოს, პირიქით, საჭიროა მედგარი ბრძოლა ამ გადაწყვეტილებათა გატარებაში, ყველა და ყოველგვარი ბიუროკრატიული ელემენტის მხრივ ადგილებზე და ცენტრალურ ორგანოებში საბოტაჟის დასაძლევად.

მაგრამ უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებათა გატარების პირველ შედეგებზე ქვანახშირის მრეწველობის მიმართ. თუ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დონბასმა ამოიღო უფრო ნაკლები ქვანახშირი, ვიდრე გასული წლის სათანადო კვარტალში, სამაგიეროდ უკანასკნელ თვეებში მდგომარეობა თვალსაჩინოდ შეიცვალა. ტექნიკური ძალების მაღაროებში გადაყვანამ, მუშა-ხელის დენადობასთან ბრძოლამ, აღნიშნულ გადაწყვეტილებათა გატარების საქმეში პოლიტიკური მერყეობის დაუზოგავად მხილებამ სამეურნეო, პროფესიული და პარტიული ორგანოების ხელმძღვანელთა შორის უკვე დადებითი შედეგები მოგვცა. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ დონბასის საწარმოო გეგმების შესრულებას, მაგრამ გასულ წელთან შედარებით ქვანახშირის ამოღებამ უკანასკნელ თვეებში 30—35 პროცენტით იმატა. ეს უკვე დიდი მიღწევაა. საჭიროა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ასეთივე ორგანიზაციული ზომების გატარებამ და მასებში წარმოებულმა პოლიტიკურმა მუშაობამ ქვანახშირის სხვა რაიონებში — ურალზე, პოდმოსკოვნი ბასეინში, კუზნეცკის რაიონში თვალსაჩინო გაუმჯობესება მოგვცა ქვანახშირის საწარმოო დავალებათა შესრულების მხრივ.

გაცილებით უფრო ცუდი მდგომარეობაა რკინის გზის ტრანსპორტზე. აქ პოლიტგანყოფილებების მოწყობამ, რაც უკვე დამთავრებულია, დიდი როლი უნდა ითამაშოს სამეურნეო მუშაობის გაუმჯობესებაში. ეს არის ამჟამად ერთი მთ[illegible]

[illegible] რების განახლებისათვის. ამასთან ერთად აღნიშნულ გადაწყვეტილებებში გამოთქმულია ნდობა კომუნისტ სამეურნეო მუშაკებს გაზრდილ ძალებისადმი და მათ მიერ მუშაობის ახლებურად დაყენების უნარიანობისადმი. იქვე გამოთქმულია რწმენა, რომ ამჟამად უკვე ბევრია ისეთი უპარტიო სპეციალისტი, რომელსაც შესწევს უნარი ნამდვილად, ბოლშევიკურად გაატაროს საბჭოთა პოლიტიკა პარტიის ხელმძღვანელობით. ყოველივე ეს მოწმობს, რომ პარტიისა და მთავრობის აღნიშნულ გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა ექნებათ მთავარი ამოცანის—ახალ საწარმოთა და ახალი ტექნიკის ათვისების ამოცანის გადაჭრისთვის.

3. სოციალიზმის მშენებლობა და გლეხთა რეზერვები

გასულ წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საკოლმეურნეო მოძრაობისათვის. კულაკობის ცდამ, გამოეყენებინა კოლმეურნეობები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ახალ ფორმებით, კოლმეურნეობათა მეშვეობით საბრძოლველად, პირდაპირ დასვა საკითხი კოლმეურნეობების საბჭოთა ხელისუფლების საიმედო დასაყრდენად გადაქცევის, კოლმეურნეობების ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად გადაქცევის შესახებ. მიმდინარე წელს მთელი ნათესების უკვე ოთხ-მეხუთედზე მეტი ეკუთვნოდა კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს. გლეხობის დიდი უმრავლესობა მუშაობდა საკოლმეურნეო მინდვრებზე და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კოლმეურნეობები გამაგრდენ და განმტკიცდენ. შეწყდა ლაპარაკი კოლმეურნეობებიდან გამოსვლის შესახებ; ასეთი შემთხვევები გამონაკლისს შეადგენს. პირიქით, გაძლიერდა ერთპიროვნულ მეურნეთა ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ.

სოფლად გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ. მაგრამ ანტისაბჭოთა ელემენტებს სრულიადაც არ დაუყრიათ იარაღი და არ შეუწყვეტიათ თავისი დამარღვეველი მუშაობა კოლმეურნეობებში. ჩვენ გვქონდა და ჯერ კიდევ გვაქვს იმის მრავალრიცხოვანი ფაქტები, რომ კულაკობა ცდილობდა შეჰგუებოდა ახალ ვითარებას და გამოეყენებინა საკოლმეურნეო ფორმები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამისათვის ჩვენ უნდა დაგვეპირისპირებინა ჩვენი ღონისძიებანი. განსაკუთრებით შეუპოვარი იყო ეს ბრძოლა, კულაკობასთან ჩრდილოეთ კავკასიასა და უკრაინაში, სადაც პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა ძლიერ ჩამორჩა საკოლმეურნეო მშენებლობის უდიდეს გაქანებას და სადაც მიუხედავად ამისა, კულაკური საბოტაჟი და კონტრრევოლუციური მავნებლების დამარღვეველი მუშაობა ალკვეთილ იქნა გადამწყვეტი ზომებით. პარტიას მთელი სიმწვავით უნდა დაესვა საკითხი იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობებს არ შეუძლიათ იყვნენ ნეიტრალური საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, რომ ისინი შეიძლება იყვნენ ან ბოლშევიკური, რომლებსაც მიყავთ გლეხები ახალი, უკეთესი ცხოვრებისაკენ, ან კულაკობის იარაღი ძველი წყობილების დაბრუნებისათვის საბრძოლველად, კაპიტალისტების, კულაკების და მემამულეთა ხელისუფლების აღდგენისათვის საბრძოლველად. დამკვრელ კოლმეურნ. საკავშ. ყრილობამ, რომელიც ა.-წ. დასაწყისს შესდგა მოსკოვში, განსაკუთრებული ძალით დაგვანახვა, რომ თუ რა უდიდესი ენტუზიაზმი იზრდება ახლა კოლმეურნეობებში გაერთიანებულ გლეხთა მასებში. ყრილობამ ცხადად დაგვანახვა, რომ საკოლმეურნეო საქმე გადაიქცა გლეხთა ათეული მილიონების საქმედ. უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში ყველა კოლმეურნის შეძლებულებად გადაქცევის ამოცანამ, რომელიც წამოაყენა ამხ. სტალინმა, უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა გლეხთა მასებში. მიმდინარე წლის ჩვენი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კამპანიები ტარდებოდა კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრებისათვის ბრძოლის ნიშნით. შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრების პერსპექტივამ, რომელიც კოლმეურნეთა წინაშე გადიშალა, [illegible] შეუწყო ჩვენი მუშაობის გაუმჯობესებას სოფლად, კოლმეურნეობების განმტკიცებას.

ამასთან ერთად პარტიამ მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა საკოლმეურნეო მოძრაობის ორგანიზაციული საკითხები, პარტიის მხრივ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ამოცანა. ამ მხრივ გადამწყვეტი როლი ითამაშა პოლიტგანყოფილებათა ორგანიზაციამ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში, 15 ათასზე მეტი კომუნისტი გაგზავნა პარტიამ სოფლად სა[illegible]

[illegible] ჭარხლის დამზადება უფრო უკეთ მიმდინარეობს, ვიდრე გასულ წლებში. ბამბის დამზადებაც აგრეთვე უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე წინა წლებში.

ამასთან ერთად თვით კოლმეურნეებმა ახლა შრომა-დღეების მიხედვით უმეტეს შემთხვევაში გაცილებით იმაზე მეტს, ღებულობენ, რასაც ამ ერთი წლის წინათ ღებულობდენ. საჭიროა წავიკითხოთ კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალების ის მრავალრიცხოვანი მიმართვები, რომლებიც იბეჭდება ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში რათა დავინახოთ კოლმეურნეობათა საგრძნობი განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების გადიდების და კოლმეურნეთა შემოსავლის ზრდის უამრავი მაგალითი. ახლა ხშირია ისეთი კოლმეურნეობები, სადაც შრომის კარგი ორგანიზაციის მეოხებით ერთ შრომა-დღეზე კოლმეურნე ღებულობს 8 კილოგრამს და კიდევ უფრო მეტ პროდუქტებს. ახლა სულ უფრო და უფრო ხშირია ისეთი კოლმეურნეობები, სადაც კარგი მოსავლის და კოლმეურნეთა პატიოსანი მუშაობის გამო, კოლმეურნეს შრომა-დღეზე ეძლევა 14—16 კილოგრამი და კიდევ მეტიც.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კოლმეურნეობების უმრავლესობის ორგანიზაციაში ადგილი აქვს უდიდეს დეფექტებს, მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ მოიკოჭლებს შრომის დისციპლინა და არ წარმოებს სათანადო ბრძოლა საზოგადოებრივი საკუთრების მტაცებელთა წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ [illegible] გამოდევნილი კოლმეურნეობების ყველა კუნჭულიდან და ხშირად მოხერხებულად მალავენ თავის მავნებლურ კონტრრევოლუციურ მუშაობას კოლმეურნეობის დაცვის ნიღაბ ქვეშ,— კოლმეურნეობებმა უკვე თავისი მუშაობის პირველივე ნაბიჯებიდან შესაძლებელი გახადეს ღარიბ გლეხთა, აგრეთვე საშუალო გლეხთა ნაწილის ცხოვრების საგრძნობი გაუმჯობესება და მთელ გლეხთა მასას გაუკაფეს გზა შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრებისაკენ. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი დღემდე წვრილი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის [illegible]

(მოხსენების გაგრძ. იხ. მე-2 გვ.)

საკავშირო დეპეშათა სააგენტოსაგან

6 ნოემბერს სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ტოკიოში ამხ. იურენევმა, საბჭოთა მთავრობის დავალებით, იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს ბ. ხიროტას ჩააბარა შემდეგი საპროტესტო ნოტა:

„3 ნოემბერს ვლადივოსტოკიდან სამხრეთ-დასავლეთით ამურის ყურის დასავლეთ სანაპიროზე, სლავიანკა-ბარაბაშის რაიონში, ადგილი ჰქონდა იაპონელთა სამხედრო აეროპლანების ფრენას. ისინი გადაფრინდენ საბჭოთა ტერიტორიის რამდენიმე პუნქტზე და ჰქონდათ შეფრენის რადიუსი 25—30 კილომეტრი. იაპონელთა იმ სამხედრო აეროპლანების საერთო რიცხვი, რომელნიც 3 ნოემბერს დაფრინავდენ საბჭოთა ტერიტორიაზე, შეადგენდა ცხრას, მათ შორის რვა მზვერავი იყო, ერთიც ყუმბარმზიდი.

მე დავალებული მაქვს საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან გადამჭრელი პროტესტი განვაცხადო საბჭოთა საზღვრების ამ უხეში და თავის ხასიათით და მასშტაბით უპრეცედენტო დარღვევის წინააღმდეგ და დაჟინებით მოვითხოვო შემდგომ ასეთ მოქმედებათა არდაშვება, გამოძიება და ზემოხსენებული გადაფრენისათვის დამნაშავეთა სამართალში მიცემა.

მტკიცე რწმენას გამოვთქვამ, რომ იაპონიის მთავრობა არ დააყოვნებს რეალური ნაბიჯები გადადგას ამ განცხადების დასაკმაყოფილებლად.

მიიღეთ, ბატონო მინისტრო და სხვ.

იურენევი".

ოქტომბრის წლისთავის დემონსტრაცია ტფილისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ლიტვინოვი ვაშინგტონში

ამხ. ლიტვინოვის შეხვედრა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 7 ნოემბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი ჩამოვიდა ნიუ-იორკში (ადს).

ნიუ-იორკი, 7 ნოემბერი. სახელმწიფო დეპარტამენტმა (საგარეო საქმეთა სამინისტრო) საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ლიტვინოვს გაუმართა შეხვედრა, როგორსაც ჩვეულებრივ უმართავენ ჩამოსულ საგარეო საქმეთა მინისტრებს. სახელმწიფო დეპარტამენტის საოქმო ნაწილის გამგე ჯემს დონი მოტორიანი ნავით გაემგზავრა გემ „ბერენგარიით" ჩამოსულ ამხ. ლიტვინოვის შესახვედრად და მიესალმა მას გემზე. სპეციალური კატერით მივიდნენ აგრეთვე პრესის წარმომადგენლები და ფოტოგრაფები დაახლოვებით 100 კაცი. მრავალი სურათი გადაღებულ იქნა ამხ ლიტვინოვის და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის დონის საუბრის მომენტში. პრესის წარმომადგენელთა მისალმებებს განსაკუთრებით მეგობრული ხასიათი ჰქონდა, ამხ. ლიტვინოვმა სთქვა რამდენიმე მისასალმებელი სიტყვა, რომელიც რადიოთი გადაცემულ იქნა მთელს სახელმწიფოში.

სახალხო კომისარს მიესალმა აგრეთვე რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის დელეგაცია. ამხ. ლიტვინოვმა დასტოვა „ბერენგარია" და მოტორიანი ნავით გაემგზავრა ქალაქ ჯერსიში (ნიუ-ჯერსის შტატი), საიდანაც დილის 11 საათსა და 30 წუთზე (ამერიკის დროით) მატარებლით გაემგზავრა ვაშინგტონში. სადგურზე მას მიესალმა ამტორგის მოსამსახურეთა ჯგუფი (ადს).

ამხ. ლიტვინოვი მიიღო რუზველტმა

ვაშინგტონი, 7 ნოემბერი, ამხ. ლიტვინოვი ვაშინგტონში ჩამოვიდა 15 საათსა და 45 წუთზე (ამერიკის დროით), სადგურზე მას შეხვდნენ სახელმწიფო მდივანი (საგარეო საქმეთა მინისტრი) ხელლი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ფილიპსი და პრეზიდენტ რუზველტის მდივანი მაკინტაირი. სადგურიდან ამხ. ლიტვინოვი ავტომობილით გაემგზავრა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს გამგის ამხ. სკვირსკის სადგომში. სადგურზე შეიკრიბა აგრეთვე პრესის მრავალი წარმომადგენელი.

ლიტვინოვის ჩამოსვლა ვაშინგტონში უფრო მეტ ინტერესს იწვევს, ვიდრე სხვა რომელიმე საგარეო-პოლიტიკური მოვლენა.

ამხ. ლიტვინოვი ავტომობილით გაემგზავრა „თეთრ სახლში" (პრეზიდენტის რეზიდენცია) სახელმწიფო დეპარტამენტის (საგარეო საქმეთა სამინისტრო) საოქმო ნაწილის გამგის დენის და რუზველტის სამხედრო ადიუტანტის პოლკოვნიკ უოტსონის თანხლებით.

„თეთრ სახლში" ამხ. ლიტვინოვს მიესალმა პრეზიდენტის საზღვაო ადიუტანტი კაპიტანი ვერნუ. რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი ხელლი, რომელმაც ამხ. ლიტვინოვი გააცილა „თეთრი სახლის" ლურჯ დარბაზში". სადაც მან იგი წარუდგინა რუზველტს. ამხ. ლიტვინოვმა „თეთრ სახლში" დაჰყო 15 წუთი.

მიუხედავად წვიმისა, იმ სახლის წინ, სადაც ამხ. ლიტვინოვი მოთავსდა, აურაცხელი ხალხი შეიკრიბა, რომელიც უცდიდა მის გამგზავრებას „თეთრ სახლში" და უკან დაბრუნებას (ადს).

ამხ. ლიტვინოვის განცხადება ამერიკული პრესის წარმომადგენლების მიმართ

ნიუ-იორკი, 7 ნოემბერი. ნიუ-იორკში ჩასვლის შემდეგ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ლიტვინოვმა ამერიკული პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

„მე დღეს ფეხს ვდგამ ამერიკის დიდი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვგრძნობ რა, რომ წილად მხვდა პატივი პირველმა გადავცე ამერიკის ხალხს სალამი საბჭოთა კავშირის ხალხებისაგან, როგორც მათმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა, აგრეთვე ვგრძნობ, რომ მე ერთგვარად პირველი ვარღვევ იმ ხელოვნურ ზღუდეს, რომელიც 16 წლის განმავლობაში ხელს უშლიდა ჩვენ ორ სახელმწიფოს ხალხთა შორის ნორმალურ ურთიერთობას. ჩემი ჩამოსვლის მიზანი ცნობილია ბ. რუზველტის და ამხ. კალინინის მისალმებების გაცვლა-გამოცვლიდან, რომელიც უკვე გამოქვეყნდა ამიერიდან 16 წლის განმავლობაში არსებული მდგომარეობის არანორმალობა აღიარებულია ორივე მხარის მიერ, რომელნიც დაადგენ ამ მდგომარეობის პრაქტიკულად გამოსწორების გზას. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ამ მდგომარეობას არც ერთ და არც მეორე მხარისთვის არ მოჰქონდა სარგებლობა და რამდენად უფრო მალე ჩაბარდება იგი წარსულს, მით უფრო კარგი იქნება ყველასათვის.

მე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ აქამდის არსებულ ურთიერთ გათიშვას ხელოვნური ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან სინამდვილეში ჩვენი რესპუბლიკების ხალხები მუდამ უდიდესი სიმპატიით და გულწრფელი გრძნობებით ადევნებდნენ თვალყურს მათ ურთიერთ განვითარებას.

მიიღეს რა მძიმე მემკვიდრეობა რუსეთის ცარიზმის შავბნელი ეპოქისაგან, რომელიც შეგნებულად სტოვებდა ქვეყანას ჩამორჩენილობისა და უმეცრების მდგომარეობაში, და ამოცანად დაისახეს რა 7 წლის განმავლობაში წარმოებული ომის ნანგრევებზე აეგოთ ახალი სახელმწიფო ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ პრინციპებზე, ჩვენი კავშირის ხალხები არ შეიძლება არ აღეფრთოვანებინა ბუნების ძალების ადამიანთა საჭიროებისადმი დამორჩილების მაგალითებს და მეთოდებს, რომლებმაც საშუალება მისცეს ამერიკის ხალხს შედარებით მოკლე ვადაში შეექმნა ყველაზე მძლავრი, ტექნიკურად ყველაზე პროგრესიული სახელმწიფო, უკან მოეტოვებია უფრო ძველი კონტინენტები.

ჩემს ქვეყანაში განსაკუთრებით პოპულიარულია ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „ამერიკული ტექნიკა", „ამერიკული ტემპები", „ამერიკული გაქანება და „ამერიკული პრაქტიკულობა". ბევრი თქვენი თანამემამულე გვეხმარებოდა ჩვენ ჩვენი სააღმშენებლო ამოცანების განხორციელებაში, მათ გადმოგვცეს ჩვენ თავისი ძვირფასი ამერიკული გამოცდილება, ხოლო ამ მშენებლობის ზოგიერთი მიღწევები დაკავშირებულია ამერიკის ტექნიკის და მრეწველობის წარმომადგენელთა სახელებთან.

ამერიკის დიდ ინტერესს ჩვენი ქვეყნის მიმართ მოწმობს აგრეთვე ამერიკის მეცნიერების, ტექნიკის და ხელოვნების გამოჩენილ წარმომადგენელთა არა-ერთხელ ჩამოსვლა ჩვენს ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსული მრავალი წიგნი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირს.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ არსებობს მტკიცე ბაზა მეცნიერული, კულტურული და ეკონომიური თანამშრომლობისათვის ორივე ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შორის არ არსებობდა ოფიციალური კონტაქტი ჩვენი ქვეყნები გრძნობდენ და გრძნობენ, რომ მათ აერთიანებს საერთო მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ.

პარალელური ხაზებით მიდიოდა ორივე სახელმწიფოს ღონისძიებანი ამ მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად, მაგრამ ნორმალური ურთიერთობის ჩვეულებრივი მეთოდების უქონლობა ხელს უშლიდა ამ ღონისძიებათა გაერთიანებას და მათგან ამ მძლავრი ფაქტის წარმოშობას, რომელიც შეიძლება გამხდარიყო მშვიდობიანობის ერთ-ერთ უმტკიცეს გარანტიად. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის გამოხმაურებამ ჩვენი პრეზიდენტების მიმართვათა გამოქვეყნების შემდეგ დაგვანახვა, თუ რა იმედებს ამყარებენ მშვიდობიანობის მეგობრები და რა იმედის გაცრუებას გრძნობენ მისი მტრები იმ პერსპექტივასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება მტკიცე მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს მსოფლიოს ორი უდიდესი რესპუბლიკის ხალხებს შორის.

ჩემ მიერ გამოთქმული გარემოებანი ნებას მაძლევენ საუკეთესო იმედები ვიქონიო ჩემთვის დაკისრებული მისიის და ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მომავლის შესახებ. ახლა არსებითად ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ, ასე ვთქვათ, იურიდიულად ჩამოვაყალიბოთ და ოფიციალური გამოხატულება მივცეთ ორი ერის ერთმანეთისკენ ბუნებრივ ლტოლვას, რომელთა ნიშნებზე მე ახლახან ვლაპარაკობდი. იმ ორი ერის, რომელთაც წარსულში ერთმანეთთან არ ჰქონიათ დავა და არავითარი საბაბი არა აქვთ ჰქონდეთ იგი მომავალში.

ჩემს ამოცანას აადვილებს აგრეთვე ის გარემოება, რომ ჩემ მიერ თქვენს პრეზიდენტთან ერთად საკითხების მომავალ განხილვას წინ უსწრებს მრავალი მოლაპარაკება და ნორმალური ურთიერთობის და მშვიდობიანი თანამშრომლობის დამყარება საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის, და რომ საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ საკითხებში წინდაწინვე კარგად ცნობილია. ის თანაგრძნობითი გამოხმაურება, რომლითაც პრეზიდენტ რუზველტის ინიციატივას შეხვდა ამერიკის პრესა და ამერიკის საზოგადოებრიობა, ნებას მაძლევს იმედი ვიქონიო, რომ ამერიკის პრესა თქვენი ხალხით თავის თანაგრძნობას და დახმარებას არ მოაკლებს შემდგომ ღონისძიებებს ამერიკა-საბჭოთა კავშირის ოფიციალური ურთიერთობის დამყარების დასაგვირგვინებლად, რაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ჩემს თათბირს თქვენს პრეზიდენტთან. მე წინდაწინ მადლობას გიცხადებთ" (ადს).

საუზმე თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 8 ნოემბერი. თეთრ სახლში საუზმეზე, როგორც პრეზიდენტის სტუმრები, დაესწრნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს გამგე ვაშინგტონში ამხ. სკვირსკი, ამტორგის გამგე ამხ. ბოგდანოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის მდივანი ამხ. დივილკოვსკი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პრესის განყოფილების გამგე ამხ. უმანსკი.

ამერიკის მხრით საუზმეს დაესწრნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი ხელლი, შინაგან საქმეთა მინისტრი აიკე, მიწათმოქმედების მინისტრი უოლლესი, ვაჭრობის მინისტრი როპერი, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე პიტმენი, საბიუჯეტო სამმართველოს დირექტორი — დუგლასი, პრეზიდენტის მდივანი ხეუ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ფილიპსი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე აჩესონი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მური, სარეკონსტრუქციო საფინანსო კორპორაციის თავმჯდომარე ჯონსი, სოფლის მეურნეობის დაკრედიტების ბიუროს უფროსი მორგენტაუ, სპეციალური თანაშემწე საგარეო საქმეთა სამინისტროში ბულიტი, საოქმო განყოფილების გამგე დენი, აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის დირექტორი კელლი, პრეზიდენტის საზღვაო ადიუტანტი კაპიტანი ვერნუ და სამხედრო ადიუტანტი უოტსონი (ადს).

ვაშინგტონი, 8 ნოემბერი. თეთრ სახლში გამართული საუზმის შემდეგ ამხ. ლიტვინოვი ნახევარი საათის განმავლობაში ესაუბრა რუზველტსა და ხელლს, შემდეგ ამხ. ლიტვინოვმა ინახულა თურქეთის ელჩი ახმედი. მუხტარ-ბეი, რომელიც გუშინ ამხ. ლიტვინოვს შეხვდა სადგურზე. ხვალ საღამოთი მუხტარ-ბეი, რომელიც დიპლომატიური კორპუსის უხუცესია, გამართავს სადილს ამხ. ლიტვინოვის პატივსაცემად. შემდეგ ამხ. ლიტვინოვი გაემგზავრა საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც განაახლა საუბარი ხელლთან. ხელლმა და ლიტვინოვმა გამოაქვეყნეს შემდეგი საერთო განცხადება:

„საგარეო საქმეთა მინისტრმა და ლიტვინოვმა დღეს ნაშუადღევს განაგრძეს საუბარი სახელმწიფო დეპარტამენტის შენობაში. საუბარი გაგრძელდება ხვალ, დილის 11 საათზე. ხვალ ლიტვინოვი კვლავ შეხვდება რუზველტს" (ადს).

ამხ. ლიტვინოვი ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატების საგარეო საქმეთა მინისტრ ხელლთან

ვაშინგტონი, 8 ნოემბერი. დღეს ამხ. ლიტვინოვმა ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი ხელლი. საუბარს დაესწრო ხელლის მოადგილე ფილიპსი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი მური, სპეციალური თანაშემწე საგარეო საქმეთა სამინისტროში ბულიტი, სოფლის მეურნეობის დაკრედიტების ბიუროს მეთაური მორგენტაუ. საგარეო საქმეთა სამინისტროს იურისკონსულტი ხაკვერტი და აღმოსავლეთ-ევროპის დეპარტამენტის დირექტორი კელლი. თეთრ სახლში აღნიშნულ იქნა, რომ ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ ორივე მხარე იხილავს სხვადასხვა დოკუმენტებს და ციფრებს, რათა ნაკლებ მნიშვნელოვან მომენტებისათვის გვერდის ავლით გამონახულ იქნას წინასწარი ბაზა შეთანხმებისათვის.

ორი საათის საუბრის შემდეგ ხელლმა ამხ. ლიტვინოვი წარუდგინა ჟურნალისტს, რომლებმაც თავი მოიყარეს ხელლის კაბინეტთან. ამხ. ლიტვინოვმა ჟურნალისტებს განუცხადა:

„მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ვაშინგტონში ვიმყოფები. მე აქ დამხვდა მეტად მეგობრული ატმოსფერო, რომელიც ხელს შეუწყობს ჩემი ჩამოსვლის მიზნებს" (ადს).

ამხ. ლიტვინოვის და ხელლის საერთო განცხადება

ვაშინგტონი, 8 ნოემბერი. საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელლმა და ამხ. ლიტვინოვმა გამოაქვეყნეს შემდეგი საერთო განცხადება:

„ჩვენ შორის წარმოებდა მეტად მეგობრული კერძო განხილვა ზოგიერთი გადაუწყვეტელი საკითხისა, რომელიც ეხება შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. საუბარს მხოლოდ და მხოლოდ წინასწარი ხასიათი ჰქონდა და დეტალური წინადადებები არ ყოფილა განხილული. საუბარი განახლდება დღეს ნაშუადღევს" (ადს)

ვაშინგტონი, 8 ნოემბერი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის დეპარტამენტის დირექტორის მიწვევით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პრესის განყოფილების გამგე ამხ. უმანსკი დაესწრო პრესის წარმომადგენელთა მიღებაზე. (ადს).

როგორ შეხვდა ამერიკის პრესა ამხ. ლიტვინოვს

ნიუ-იორკი, 8 ნოემბერი. ამერიკის პრესა განსაკუთრებული კეთილგანწყობილებით შეხვდა ამხ. ლიტვინოვს. სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების („მშრალი კანონის" გაუქმება, ნიუ-იორკის მერის არჩევნები) მიუხედავად, გაზეთები აქვეყნებენ ყოველგვარ წვრილმანებს, რომლებიც ეხება ამხ. ლიტვინოვის ჩასვლას ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატებში, მის მოგზაურობას ვაშინგტონში და თეთრ სახლში გამართულ დარბაზობას, ამასთან ესენი ათავსებენ მრავალ ფოტოსურათს. ამხ. ლიტვინოვის განცხადება პრესის წარმომადგენლების წინაშე, რომელიც მან გააკეთა გემ „ბერენგარიაზე" ყოფნის დროს, მთლიანად დაიბეჭდა. წერილების ტონი უაღრესად მეგობრულია. გაზეთები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ მოვლენას.

თავის მოგზაურობის მიზნების შესახებ გაკეთებული განცხადების გარდა, ამხ. ლიტვინოვმა უპასუხა მრავალრიცხოვან კორესპონდენტების მთელ რიგ შეკითხვებზე, რომლებიც მიმართავდენ მას ფოტო-რეპორტიორების მიერ ატეხილ არაჩვეულებრივი აურ-ზაურის დროს. კინო-ოპერატორებმა გადაიღეს რამდენიმე ათასი მეტრი, მათ გადაიღეს ამხ. ლიტვინოვის თითოეული ნაბიჯი ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებში ჩამოსვლის მომენტიდან. კინო-ოპერატორები ორი გემით უკან მიჰყვებოდენ იმ მოტორიან ნავს, რომლითაც ამხ. ლიტვინოვი გემ „ბერენგარიიდან" მიიყვანეს ნაპირზე, მთელი ამ დროის განმავლობაში ნიუ-იორკის ნავსადგურამდე სწარმოებდა სურათების გადაღება. ჩვეულებრივი „გემის რეპორტიორების" გარდა, გაზეთებმა გაგზავნეს სპეციალური კორესპონდენტები, რათა მისალმებოდენ ამხ. ლიტვინოვს.

ანალოგიური სცენები გაიმართა ვაშინგტონის სადგურზე, სადაც ფოტოგრაფებმა გადაიღეს ის მომენტი, როცა ამხ. ლიტვინოვს ესალმებოდა სახელმწიფო მდივანი ხელლი. ასევე გრძელდებოდა მაშინაც, როცა ამხ. ლიტვინოვი მივიდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროში, ხოლო შემდეგ თეთრი სახლის კარებთან, რომელშიაც ამხ. ლიტვინოვი შევიდა რუზველტის სრულ საპარადო ფორმაში გამოწყობილ სამხედრო და საზღვაო ადიუტანტების თანხლებით.

ხერსტის პრესა სწერს **„რუზველტის და ლიტვინოვის ისტორიული შეხვედრის შესახებ, რომელიც ბოლოს უღებს იმ გულცივ დამოკიდებულებას, რომელიც 16 წლიწადს გრძელდებოდა",** და აცხადებს, რომ ამხ. ლიტვინოვის ჩამოსვლას ვაშინგტონში **„შეაქვს ცვლილებები მსოფლიო ისტორიაში".**

ხელლი გულთბილად მიესალმა ამხ. ლიტვინოვს. ლიტვინოვმა ასევე გულთბილად უპასუხა და მოაგონა მას მათი შეხვედრა ლონდონში. თეთრ სახლში რუზველტთან ერთად ამხ. ლიტვინოვს მიესალმა რუზველტი. თეთრ სახლში შეხვედრა წარმოადგენდა თავაზიანობის ხანმოკლე საზეიმო აქტს. პრესა აღნიშნავს, რომ შეხვედრა მეტად გულთბილ ხასიათს ატარებდა (ადს).

ნიუ-იორკი, 8 ნოემბერი. გაზეთები დიდი თანაგრძნობით ეკიდებიან ამხ. ლიტვინოვის ჩამოსვლას.

„უორლდ ტელეგრამი სწერს:

„ლიტვინოვის დარბაზობა რუზველტთან ბედნიერად ემთხვევა საბჭოთა მთავრობის არსებობის 16 წლისთავს. თექვსმეტი წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის წარმატებებმა გააუმჯობესა საბჭოთა კავშირის ხალხების მდგომარეობა — ისეთი სისწრაფით, რომელსაც ისტორიაში, არა აქვს პრეცედენტი. ამ წარმატებებმა საბჭოთა კავშირს საერთაშორისო საქმეებში მოუპოვეს დიდი სახელმწიფოს მდგომარეობა". გაზეთი მხარს უჭერს აქტიურ ეკონომიურ და დიპლომატიურ თანამშრომლობას საბჭოთა კავშირსა და ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატებს შორის. „უორლდ ტელეგრამის" სიტყვით, ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატები და საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მთავარ ფაქტორებს, რომლებიც მოქმედებენ განიარაღების და საყოველთაო მშვიდობიანობის სასარგებლოდ. **„მშვიდობიანობის მეგობრები ყოველ ქვეყანაში, — წერს გაზეთი, — აღივსებიან სიხარულით, როცა მსოფლიოს უძლიერესი რესპუბლიკები — შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი — გვერდში ამოუდგებიან ერთმანეთს".**

გაზეთი „ნიუ-იორკ დეილი მირერი" (მეტად გავრცელებული გაზეთი) წერს:

„ვაშინგტონში ხდება ისეთი ამბები, რომლებსაც მსოფლიო ცივილიზაციისათვის შეიძლება ექნეს უფრო სერიოზული შედეგები, ვიდრე სხვა რამეს, რაც ხდება ნიუ-იორკში ან ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატების სხვა ნაწილებში ლიტვინოვი ჩამოვიდა ამერიკაში იმისათვის, რომ აწარმოოს მოლაპარაკება ცნობის შესახებ. მისი მისიის წარმატება ნიშნავს, არა მარტო დიდ მოვლენას ამერიკისა და საბჭოთა კავშირისათვის, არამედ ეხება საერთაშორისო ურთიერთობასაც ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში".

სკრიპს-გოვარდის საგაზეთო ტრესტის უცხოეთის განყოფილების რედაქტორი აღნიშნავს, რომ იქნებ საყოველთაო მშვიდობიანობა დამოკიდებულია ვაშინგტონის მოლაპარაკების შედეგებისაგან. „ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში განსაკუთრებით ფაქიზი სიტუაციაა და უთანხმოების მოგვარებას საბჭოთა კავშირსა და ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატებს შორის შეუძლია ადვილად დაამყაროს ისეთი წონასწორობა, რაც ხელსაყრელი იქნება მშვიდობიანობის საქმისათვის" (ადს).

ამხ. მოლოტოვის მოხსენების დასასრული

ხელმძღვანელობის გაწევას კოლმეურნეობებისათვის და მათ გადაქცევას ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად.

უპირატესობანი საკოლმეურნეო წყობილებისა, რაც ნიშნავს მიწის დამღუპველი დაქუცმაცების და გლეხთა უამრავი მიჯნების ლიკვიდაციას, იძლევა გაუმჯობესებული თესლბრუნვით და ხარისხოვანი თესლით ფართოდ სარგებლობის შესაძლებლობას, პირველად იძლევა აგროტექნიკის მიღწევათა მძლავრად გამოყენების საშუალებას. — დიახ ეს უპირატესობანი უკვე ცხადი გახდა საკოლმეურნეო განვითარების პირველსავე საფეხურზე.

ეს უპირატესობანი წლითი-წლობით სულ უფრო და უფრო ცხადი გახდება. საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ამაღლებისათვის გაჩნდა ისეთი ხელსაყრელი პერსპექტივები, რანაირიც არასოდეს არ შეიძლებოდა არსებულიყო, კერძო საკუთრებით ბატონობის დროს.

ურწმუნობა გლეხური რეზერვებისადმი, როგორც მუშათა კლასის უდიდესი მოკავშირისადმი სოციალიზმისათვის ბრძოლაში, წარმოადგენდა ყველა ჯურის ოპორტუნისტის დამახასიათებელ თვისებას. ამ ურწმუნობას არ შეეძლო არ მიეყვანა ოპორტუნისტები სრულ დამარცხებამდე. ახლა ჩვენ საქმით ვხედავთ, რომ გლეხთა რეზერვები გადაიქცნენ სოციალიზმის ზრდის მძლავრ დასაყრდენად. აღნიშნული რეზერვების ბოლშევიკური განათლებისა და ორგანიზაციისათვის ჩვენს მუშაობაზე ჩვენს უნარზე — ნამდვილად გადავაქციოთ კოლმეურნეობები, ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, დამოკიდებულია გლეხთა ამ რეზერვების გადაქცევა სოფლის მეურნეობის ამაღლების და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ზრდის კიდევ უფრო დაჩქარების უდიდეს ძალად.

4. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა და ომის საფრთხე

ახალი ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლასა და ახალი საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებასთან ერთად, ჩვენ განუხრელად ვატარებთ სამშვიდობო პოლიტიკას სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში. ყველასათვის ცნობილია, თუ რა შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს საბჭოთა კავშირი ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისათვის ყველა სახელმწიფოსთან და, პირველ რიგში, მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. ჩვენი მტრებიც—კი უცხოეთის ბურჟუაზიული ბანაკიდან იძულებული იყვნენ არა ერთხელ ეღიარებიათ ამ სამშვიდობო პოლიტიკის სიმტკიცე და წარმატება. თავდაუსხმელობის ხელშეკრულებათა დადების, აგრეთვე აგრესორის (თავდამსხმელი მხარის) პაქტების დადების საქმეში როგორც ყველასათვის ცნობილია, საბჭოთა კავშირის მთავრობას საპატიო ინიციატივა ეკუთვნის. საბჭოთა ხელისუფლების ამ გამოსვლების დადებითი მნიშვნელობა, რომლებიც მიმართულია საყოველთაო მშვიდობიანობის საქმის განმტკიცებისაკენ, უდავოა. სოციალისტური მშენებლობის წარმატებამ და საგარეო ურთიერთობაში სამშვიდობო პოლიტიკის მტკიცედ გატარებამ ბევრი მხრივ შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას. ახლა ჩვენ გვაქვს საერთაშორისო ურთიერთობაში საბჭოთა კავშირის მზარდი ხვედრითი წონის აღიარების ახალი დამადასტურებელი საბუთები. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ინიციატივა ამერიკაში საბჭოთა კავშირის მთავრობის წარმომადგენლის მიწვევის საქმეში. ამ ინიციატივას უეჭველად შეიძლება ექნეს დადებითი მნიშვნელობა ორივე ქვეყნის ინტერესების თვალსაზრისით. ჩვენი პოზიცია ამ საკითხში ჩამოყალიბებულია ამხ. კალინინის ცნობილ მიმართვაში. ამ მიმართვაში ნათქვამია:

„უეჭველია, რომ სიძნელენი, თუ ისინი არსებობენ ან წარმოიშობიან ორ ხალხს შორის, შეიძლება გადალახულ იქნას მხოლოდ მათ შორის უშუალო ურთიერთობის არსებობის დროს ხოლო მეორე მხრივ მათი გადალახვის არავითარი შინაარსი არ არსებობს, თუ ასეთ ურთიერთობას ადგილი არა აქვს".

ამ სიტყვებში სრული გარკვეულობით გამოხატულია საბჭოთა ხელისუფლებას პოლიტიკა, რომელსაც განუხრელად ატარებდა ჩვენი მთავრობა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში. მე დამრჩენია მხოლოდ გამოვთქვა იმედი, რომ ამხ. ლიტვინოვის შეხვედრა ბ-ნ რუზველტთან გამოიღებს ნაყოფიერ შედეგებს როგორც ორივე სახელმწიფოს უშუალო ინტერესების თვალსაზრისით, ისე საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების ინტერესების თვალსაზრისითაც. ეს მით უფრო უნდა ითქვას, რომ ვაშინგტონში მომავალი მოლაპარაკების მნიშვნელობა ბევრად სცილდება ორ სახელმწიფოს ურთიერთობის ფარგლებს.

მაგრამ, საბჭოთა ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელება მარტო ჩვენზე როდია დამოკიდებული. სამხედრო თავდასხმების საფრთხე სწორედ ახლა გახდა განსაკუთრებით აქტუალური, და ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმპერიალისტების ზრახვებს და გეგმებს, რომლებიც საშიშია მშვიდობიანობის საქმისათვის. ამასთან დაკავშირებით, ხაზსგასმით გასაგებია, რომ მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში და იაპონიასთან ურთიერთი დამოკიდებულების საკითხები იყო და არის ისეთი საკითხები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ. ჩვენი პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში და ჩვენი ურთიერთობა შორეულ-აღმოსავლეთელ მეზობლებთან განუხრელად გამომდინარეობს მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების ინტერესებიდან. განუხრელად მიმართულია მშვიდობიანობის საქმის განმტკიცებისაკენ. ამას ადასტურებს არა მარტო ჩვენი წინადადება იაპონიისადმი თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ, არამედ ჩვენი წინადადებაც აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გაყიდვის თაობაზე. ჩვენ არც ახლა გვესაჭიროება ამ ჩვენი პოლიტიკის შეცვლა. ჩვენ ვადასტურებთ, რომ ჩვენი წინანდელი განცხადებანი ძალაში რჩებიან, მაგრამ ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ მანჯურიის ამბებს და, უწინარეს ყოვლისა, იმ ფაქტს, რომ ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებებს და იაპონიის მიერ ჩვენთვის მოცემულ დაპირებებს საქმით არღვევენ და აწარმოებენ ამ ხელშეკრულებათა ჩაშლის პოლიტიკას. საბჭოთა კავშირის მიმართ მტრული პროვოკაციები აქ სულ უფრო და უფრო ძლიერდება ამიტომ ჩვენ აქტუალურ ამოცანად მიგვაჩნია ყოველნაირად ვამხილოთ ყოველგვარი ცდა ამ მიმართულებით და ამასთან ერთად ჩვენს პირველ მოვალეობად ვთვლით მთლიანად დავიცვათ საბჭოთა კავშირის ინტერესები ბოლომდე დავიცვათ საბჭოთა კავშირის საზღვრები. როცა ჩვენ ყოველდღე ვკითხულობთ იაპონიის და მანჯურიის პრესის ცნობებს ციმბირის დაპყრობის შესახებ, ზღვის სანაპირო შემოერთების შესახებ ზოგიერთი ცნობილი იაპონელი მოღვაწის სასაცილო გეგმებს, როცა ეს გეგმები და სჯა-ბაასი სულ უფრო და უფრო აშკარა და თავხედური ხდება.—ჩვენ იძულებული ვართ გავაძლიეროთ სიფხიზლე, ეს მით უფრო, რომ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე და მოსაზღვრე რაიონებში დატრიალებული ამბები მოწმობენ, რომ ბატონი ავანტურისტები სულ უფრო და უფრო მეტ მიდრეკილებას იჩენენ სიტყვებიდან და წერილებიდან პროვოკაციულ მოქმედებებსა და გამოსვლებზე გადავიდნენ. ამასთან ჩვენ აშკარად ვაცხადებთ, იმას, რაც მთელ მსოფლიოსათვის ცნობილია: მანჯურიის უძლური მთავრობა ამ საკითხებში სერიოზულ ძალას არ წარმოადგენს ყველამ იცის, რომ პასუხისმგებლობა ამ მოქმედებისათვის მთლიანად აწევა იაპონიის მთავრობას, როგორც მანჯუგოს ნამდვილ ბატონ-პატრონს.

ჩვენ არ შეგვიძლია აგრეთვე ანგარიში არ გაუწიოთ იაპონიის ზოგიერთი ავტორიტეტიანი მოღვაწის აშკარად გამოთქმულ აზრებს: ისინი დასცინიან ევროპელთა „სისულელეს", რომელთაც აუცილებლად მიაჩნიათ „ომის გამოცხადება" სამხედრო მოქმედებათა დაწყების წინ. ეს ბატონი იაპონელი მოღვაწეები სხვა თვალსაზრისს ადგანან და აშკარად ლაპარაკობენ, აუცილებელია საბჭოთა კავშირზე თავდასხმა მოხდეს მოულოდნელად და ამასთან რაც შეიძლება მალეო ყველაფერი ეს ჩვენ იძულებულს გვხდის სავსებით მზად ვიყოთ სერიოზული თავდასხმებისათვის. ჩვენ ეს ჯეროვნად გავითვალისწინეთ და მასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადოთ შემდეგი: თუ ახლა ჩვენს მთავარ ამოცანად მიგვაჩნია მშვიდობიანობის ჩაშლისაკენ მიმართული ყოველგვარი ავანტურის მხილება, წითელი არმიის და ჩვენი თავდაცვის განმტკიცებისათვის ზრუნვა და ამავე დროს შემდგომაც სამშვიდობო პოლიტიკის და ჩვენს მეზობლებთან ნორმალური ურთიერთობის განმტკიცების ხაზის განუხრელად გატარება — საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში ჩვენი ამოცანა მხოლოდ ერთი იქნება —ეს ამოცანაა: მოწინააღმდეგის სრული განადგურება და ჩვენი წითელი არმიის გამარჯვება (მქუხარე ტაში).

—:—

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს იმ ამბებს, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთში ხდება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის საერთო განმტკიცებასთან ერთად გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენი წითელი არმიაც. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ყურადღება და ზრუნვა წითელ არმიის მიმართ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თავდასხმელი მხარე მალე მიხვდება, თუ რას ნიშნავს, საქმე იქონიო უძლეველ წითელ არმიასთან (ტაში).

ქვეყნის სამეურნეო ზრდასთან ერთად მატულობს მასების კულტურული და სხვაგვარი მოთხოვნილებანი. ეს მოთხოვნილებანი მატულობს ყველა მიმართულებით. მატულობს მოთხოვნილება წიგნებსა და გაზეთებზე მატულობს იმდენად, რომ ჩვენ ვერ ვასწრებთ მის დაკმაყოფილებას. კულტურული ცხოვრებისადმი მისწრაფება მატულობს იმის გაძლიერებულ მოთხოვნასთან ერთად, რომ უფრო კულტურულად ვიმუშაოთ, უფრო კულტურულად ვაშენოთ. იზრდება მოთხოვნა ფართო მოხმარების საქონლის და მისი ხარისხის მიმართ.

მომხმარებელი მოითხოვს არა მარტო მეტ საქონელს, არამედ აგრეთვე გაიზარდა ფართო მოხმარების საქონლის ამორჩევის მოთხოვნილება.

ძლიერ გაიზარდა აგრეთვე უკეთესი ბინის და საყოფაცხოვრებო პირობების მოთხოვნილება. უფრო და უფრო გახშირდა შემთხვევები, როცა ვერ ურიგდებიან საბინაო მშენებლობის ძველ სტანდარტებს და მოითხოვენ საცხოვრებელ შენობათა ხარისხის გაუმჯობესებას. გაიზარდა მოთხოვნილებანი აგრეთვე ქალაქების და სოფლების სანიტარული მომსახურების მხრივ. საზოგადოებრივი კვების ფართოდ გაშლის და მსხვილი საკვები მრეწველობის ზრდის პირობებში, სანიტარული საქმის გაუმჯობესებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ იზრდება ამჟამად მოთხოვნილება კარგ გზებზე და ჯერ კიდევ როგორ ჩამორჩენილი ვართ ჩვენ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში. შეიძლება დავასახელოთ მუშების და გლეხების მრავალი სხვა ასეთივე მნიშვნელოვანი მოთხოვნილება, რომელთა დაკმაყოფილება უფრო და უფრო გადაუდებელი ხდება. ყოველივე ეს მოითხოვს ჩვენი როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი მრეწველობის ყოველმხრივ გაშლას, ადგილობრივი ნედლეულის გაცილებით უკეთ გამოყენებას, მიწათმოქმედების და მეცხოველეობის ყველა დარგის მძლავრად განვითარებას, ყოველივე ეს განსაკუთრებით მოითხოვს უდიდეს ორგანიზატორულ მუშაობას მუშათა კლასის და გლეხობის მასებში მმართველობის მეთოდების გაუმჯობესებას და სოციალიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლთა ახალი მრავალრიცხოვანი ხელმძღვანელი კადრების დაწინაურებას.

დღითიდღე იზრდება ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გაქანება. მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, ტექნიკასა და ხელოვნებაში საბჭოთა კავშირი სულ ახალ და ახალ წარმატებებს აღწევს. შემოქმედებითი მუშაობა მატულობს ყველა დარგში. იზრდება ინიციატივის მქონე, თავგამოდებულ ადამიანთა რიცხვი, რომელნიც წარმატებით თავს ართმევენ და ახალ უძნელეს ამოცანებს. ავიღოთ ჩვენ მიერ ამას წინათ ჰაერის დაპყრობის სფეროში მიღწეული წარმატება. როგორც ვიცით, ამჟამად სტრატოსფეროს დაპყრობის საქმეში მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის სტრატოსტატს „ს.ს.რ.კ.". ენერგიული ბრძოლა წარმოებს ტექნიკის დაუფლებისათვის და ყარა-ყუმის ცნობილი გადარბენა წარმოადგენს ამ საქმეში ჩვენი წარმატებების ერთერთ საუკეთესო დამადასტურებელ საბუთს. ამ უკანასკნელ წლებში შეუპოვარი ბრძოლა წარმოებს არქტიკისათვის მისი ჯერ კიდევ უცნობი სიძნელეების დასაძლევად. და ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ყინულისმჭრელების ლაშქრობა ჩრდილოეთ პოლარულ ზღვაში (ყინულოვანი ოკეანე) იკაფავს ახალ გზებს და ქმნის ჩვენი ქვეყნის ახალ გმირებს.

თეთრ და ბალტიის ზღვათა სტალინის სახელობის არხის აგება სულ რაღაც 20 თვის განმავლობაში—წარმოადგენს ჩვენი მშენებლობის გაქანების და მის უდიდეს შესაძლებლობათა კიდევ ერთ მაგალითს. ჩვენ უკვე შევუდექით კიდევ უფრო მძლავრი არხის გაყვანას, რომელიც ვოლგას შეაერთებს მოსკოვთან. ყოველივე ეს მხოლოდ ცალკე მაგალითია იმ დიადი მშენებლობისა, რომელიც გაჩაღებულია ჩვენი ქვეყნის ცენტრსა და განაპირა რაიონებში, და რომელიც განუხრელად იზრდება, იზიდავს რა მშრომელთა ახალ-ახალ მასებს.

ჩვენ ვდღესასწაულობთ ოქტომბრის რევოლუციის მე-16 წლისთავს, როგორც საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის და მშრომელთა დიად წარმატებათა წლისთავს. ოქტომბრის რევოლუციის მე-16 წლისთავზე მიღწეულ წარმატებებში ჩვენ ვხედავთ არა მარტო საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს მუშების წარმატებებს. ამ წარმატებებით უფლება აქვთ იამაყონ ყველა ქვეყნის პროლეტარებმა და მთელ მსოფლიოს ჩაგრულმა ხალხებმა;

ამ წარმატებებს ჩვენ მივაღწიეთ იმიტომ რომ საბჭოთა კავშირში არის სახელოვანი ბოლშევიკური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობს მთელ ამ მშენებლობას, რომ ჩვენ გვაქვს ლენინური შტაბი — ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტი, რომ ჩვენს საქმეს სათავეში უდგას ნაცადი ბელადი ამხ. სტალინი.

(მქუხარე ტაში, ოვაცია).

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციას!

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს (მქუხარე ტაში. „ინტერნაციონალი").

უცხოეთის პრესის გამოხმაურება ამხ. მოლოტოვის სიტყვის გარშემო

იაპონია

ტოკიო, 8 ნოემ. ყველა საღამოს გაზეთი თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს ცნობას ამხ. მოლოტოვის მიერ მოსკოვის საბჭოს საზეიმო პლენუმზე წარმოთქმული სიტყვის შესახებ. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოლოტოვმა გააშუქა საბჭოთა კავშირის შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკა. გაზეთები ამ ცნობებს ათავსებენ სათაურებით: „საბჭოთა კავშირი კარგად არის მომზადებული იმ შემთხვევისათვის, თუ იაპონია მოულოდნელად თავს დაესხმება", „საბჭოთა კავშირი მზად არის მოიპოვოს გამარჯვება, თუ იაპონია მას თავს დაესხმის".

ინგლისი

ლონდონი, 7 ნოემბერი. გაზეთების უმრავლესობას მოჰყავს ამონაწერები. მოლოტოვის სიტყვიდან, განსაკუთრებით იმ ნაწილიდან, რომელიც ეხება იაპონიასთან ურთიერთობას. გაზეთები ცნობას ბეჭდავენ სათაურებით: „საბჭოთა კავშირის მკაცრი გაფრთხილება იაპონიის მიმართ", „რუსეთი გაურბის ომს". და სხვ., „დეილი ტელეგრაფი", ეხება რა იაპონიის მხრივ თავდასხმის შესაძლებლობას, უკანასკნელს აფასებს როგორც ომის უდიდეს საფრთხეს.

საფრანგეთი

პარიჟი, 7 ნოემბერი. მიუხედავად იმისა, რომ ცნობა ამხ. მოლოტოვის მოსკოვის საბჭოს საზეიმო პლენუმზე გამოსვლის შესახებ დაგვიანებით მოვიდა, ბევრმა გაზეთმა მისი სიტყვა თვალსაჩინო ადგილზე დაბეჭდა. პრესა განსაკუთრებით გამოჰყოფს გაფრთხილებას იაპონიის მისამართით და აღნიშნავს, რომ მოლოტოვის სიტყვებს თავდასხმის მოგერიებისათვის მზადყოფნის შესახებ პლენუმზე მქუხარე ტაშით შეხვდენ. „ერ ნუველი", აქვეყნებს რა პირველ გვერდზე მსხვილი შრიფტით ამონაწერებს სიტყვიდან, მათ უკეთებს სათაურს: „მოლოტოვი აფრთხილებს იაპონიას, რომ საბჭოთა კავშირი მზადაა საკადრისი პასუხი გასცეს იმას, ვინც მას თავს დაესხმის".

გერმანია

ბერლინი, 7 ნოემბერი. გერმანიის პრესა თვალსაჩინო ადგილზე მსხვილი სათაურებით ბეჭდავს ამონაწერებს ამხ. მოლოტოვის სიტყვიდან. გაზეთები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ამხ. მოლოტოვის განცხადებას ომის საფრთხის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში. კომენტარიებს უკეთებს რა ამ განცხადებას, „კელნიშე ცეიტუნგი" სწერს:

„იმ დროს, როცა აქამდის საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა პრესა ლაპარაკობდენ, თავშეკავებულ ტონით, ახლა უკვე მოსკოვში გადასწყვიტეს, რომ დადგა მომენტი აშკარად შესძახონ იაპონელებს: „კმარა" (ადს).

პროლეტარული დედაქალაქი ზეიმობს ოქტომბრის 16 წლისთავს

მოსკოვი, 8 ნოემბერი. პროლეტარულმა დედაქალაქმა ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავი დიდი ზეიმით იდღესასწაულა.

ჯერ კიდევ საღამოს, 6 ნოემბერს მოსკოვზე მილიონობით აკაშკაშდა ცეცხლის ალები. ქალაქი გამოუცნობლად აფერადდა ცენტრალურ ქუჩებიდან და მოედნებიდან შორეულ განაპირებამდე. დიდ თეატრთან მოჩანს „თეთრი ზღვის სტალინის სახელობის არხი" პოდენცის ჯებირის გრანდიოზული მაკეტის, წარწერა. მის ზევით აღმართულია ამხ. სტალინის სურათი. პირდაპირ მოსკოვის მიტროპოლიტენის მშენებლობის საუცხოვო პერსპექტივაა. პუშკინის მოედანზე ვხედავთ ქვეყნის ტექნიკური სიმტკიცის ცოცხალ მოწმეს ავტომანქანებს, რომლებმაც საუცხოვოდ ჩაატარეს ისტორიაში უდიდესი რეიდი — ყარაყუმის ფხვიერ ქვიშნარზე გაიარა და იქვე ანტირელიგიურ მუზეუმზე, მოცემულია საუცხოვო ეპიზოდები ახალი ბოლშევიკური ეპოპეიდან — სტრატოსფეროს დაუფლების ეპოპეიდან. გადაშლილია სოციალისტურ საქმეთა დიდებული პანორამები. მოსკოვი, მთელი ქვეყანა პატაკს იძლევა თავის გამარჯვებათა შესახებ. განუწყვეტელი ინდუსტრიული და ტექნიკური პროცესის შესახებ. ეს გამარჯვებანი უდიდესი სიძლიერით გაიშლა 7 ნოემბრის წითელი არმიის პარადსა და დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაციაზე.

10 საათია. მავზოლეუმის მარცხენა მხარეზე დგანან: ამხ. სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ორჯონიკიძე, კუიბიშევი, რუძუტაკი, მიქოიანი, ენუქიძე რინდინი ხრუშჩოვი, ბულგანინი და სხვები.

მარჯვენა მხარეზე არიან ამხ. გამარნიკი, ს. კამენევი, მუკლევიჩი, ორლოვი, ეგოროვი და საბჭოთა კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭოს სხვა წევრები. ტრიბუნებზე ვხედავთ დიპლომატიურ კორპუსს.

მავზოლეუმის კვარცხლბეკთან დგანან სამხედრო ატაშეები.

ჰქუხს „ინტერნაციონალი". პარადის სარდალი ამხ. კორკი პატაკს აძლევს სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. ტუხაჩევსკის. ამხ. ტუხაჩევსკი შემოუვლის ჯარებს და ულოცავს მათ ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავს. განუწყვეტელი „ვაშა" ხან მიყრუვდება, ხან კვლავ ახლოვდება, იქუხებს სადღაც იქ, ილინკაზე, ნიკოლსკის ქუჩაზე, რევოლუციის მოედანზე.

თავისუფლად!

ჯარების შემოვლა გათავებულია. მიკროფონთანაა საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე ამხ. კალინინი.

ამხ. კალინინის სიტყვა 1933 წლის 7 ნოემბრის პარადზე

ამხანაგებო მუშებო, გლეხებო, წითელარმიელებო და საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქევ!

პარტიის და მთავრობის დავალებით მოგილოცავთ თქვენ ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულს, საბჭოთა კავშირის არსებობის 16 წლისთავს!

სოციალისტური მშენებლობის მე-16 წელი ჩვენს ქვეყანაში დაიკავებს საპატიო ადგილს მუშათა კლასის იდეალებისათვის საერთაშორისო ბრძოლაში ამ წელს განსაკუთრებული სიცხადით მილიონიანი მასების თვალწინ საბჭოთა მთავრობა იბრძოდა მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის, მთელი მსოფლიოს ქვეყნებს შორის ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისათვის. ეს ბრძოლა უკვე დადებით გამოხმაურებას პოულობს საბჭოთა კავშირის გადაღმაც.

ამხანაგებო! დიდი ოქტომბრის დღესასწაული, პროლეტარული რევოლუციის დღესასწაული ყველა ჩაგრულის დღესასწაულია, ყოველი ჩვენი წარმატება გვამხნევებს გვაფრთოვანებს მუშათა ინტერესებისათვის საბრძოლველად. ჩვენ კმაყოფილების გრძნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე-16 წელს საგრძნობლად წავიწიეთ წინ.

იზრდება ჩვენი მრეწველობა და წლითიწლობით უფრო და უფრო სრულად აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს მის პროდუქტებზე, ამუშავდა უმნიშვნელოვანესი ქარხნები და უაღრესად გრანდიოზული ნაგებობანი: ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანა, ურალის მძიმე მანქანათმშენებელი ქარხანა, ათეულზე მეტი ახალი ბრძმედები, ამხ. სტალინის სახ. ჩრდილოეთის არხი და სხვ.

ვერ ჩამოთვლი ყველა ახალ ქარხანას და უდიდეს ნაგებობებს. ჩვენი საკოლმეურნეო მშენებლობა მტკიცედ დადგა ფეხზე.

წელს, პარტიის და პოლიტგანყოფილებათა დახმარებით, კოლექტივებში გაერთიანებულმა გლეხთა მასებმა მაგრად მოჰკიდეს ხელი საკოლმეურნეო წარმოებას და ამის შედეგები უდიდესია. ეს შედეგები დიდია არა მარტო იმით, რომ მიღებულია ბევრი მარცვლეული და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, არამედ იმითაც, რომ კოლმეურნე გლეხმა პრაქტიკულად, თავის ყანებზე, ბოსტნებში, საძოვრებზე და ფერმებში დაინახა საკოლმეურნეო მუშაობის მთელი უპირატესობა, მთელი სარგებლიანობა, მან დაინახა, რომ ლენინის გზას იგი მიჰყავს შეძლებულ ცხოვრებისაკენ, ნამდვილად სოციალისტურ, ნამდვილად კულტურულ ცხოვრებისაკენ.

ამხანაგებო! ეს უდიდესი გამარჯვებაა. ძნელია ამჟამად მისი შეფასება, მაგრამ ეჭვი არ შემდის, მისი შედეგები განსაცვიფრებელი იქნება. მხოლოდ წარმოიდგინეთ: მრავალი ათეული მილიონი ადამიანი პრაქტიკულად დაიჯერა, რომ ისინი სწორი გზით მიდიან თავისი ბედნიერებისაკენ. გვითხარით, მსოფლიოში რა ძალას შეუძლია ხელი შეუშალოს მათ? ყოველივე ხელის შემშლელი აღგვილი იქნება გზიდან შრომის დიდი სოციალისტური არმიის მიერ. ლენინის ანდერძს ყოველ წლობით სულ უფრო და უფრო ანხორციელებენ ლენინის პარტია და მისი ბელადი ამხ. სტალინი.

ამხანაგებო, პროლეტარიატის გამარჯვების დღეს, კაპიტალისტებზე რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვების დღეს მთელის გულმხურვალებით ხმამაღლა. მთელი ქვეყნის გასაგონად შევძახოთ ვაშა ლენინურ კომუნისტური პარტიისათვის, მისი ბელადის ამხ. სტალინისათვის (ყვირილი „ვაშა", ინტერნაციონალი).

ამხ. კალინინი თავის სიტყვას ამთავრებს შეძახილით „ვაშა" ლენინური პარტიის და მის ბელადის ამხ. სტალინის პატივსაცემად (გაისმის ერთსულოვანი მისალმებანი. საზეიმოდ ჟღერს „ინტერნაციონალი"). ქვემეხების სალუტის მქუხარე გრგვინვას ეხმაურებიან მრავალ რიცხოვანი გამოძახილით. პასუხად გაისმის ქარხნების საყვირების მძლავრი სიმფონია.

აგუგუნდა ფანფარები. დაიწყო საზეიმო მარში. მას იწყებს მუშურ - გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემია. მისდევენ უმაღლესი სამხედრო სკოლები — ქიმიური, საინჟინრო. მიემართებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის [illegible] კადრები. მათი ნაბიჯი მტკიცე და დამაჯერებელია. ესაა ძლევამოსილი მუშურ გლეხური წითელი არმიის სარდლების ნაბიჯი. მოდიან პროლეტარული დივიზიების მეომრები თავისი ჩვეულებრივ წყობით—მჭიდროდ მხარდამხარ ხიშტების აღმართული ტყით. მოჩანან გაერთიანებული სახპოლიტსამმართველოს ჯარების მწვანე, ცისფერი და წითელი ქუდები. დროშების წითელ ზღვას მეთაურობს ყოფილ პარტიზანთა და წითელგვარდიელთა კოლონა. ჭაღარა მოხუცები და ხანში შესული მუშები, რომელთაც გაუვლიათ სამოქალაქო ომის გმირულ ბრძოლათა ბრძმედი. ისინი მედგრად მუშაობენ თავის [illegible]. მაღლა სწევენ სამხედრო ცოდნის დონეს, ამაგრებენ საბჭოების ქვეყნის თავდაცვას.

მათ არ ჩამორჩება ახალგაზრდობა, მიემართებიან თავდაცვა - ავიაქიმის დაუსრულებელ რაზმები — მუშების, სტუდენტების, მოსამსახურეების რაზმები.

მომავალი მეომრების, პილოტების, პარაშუტისტების, ტანკისტების, მეთხილამურეების ბატალიონები.

თავდაცვა - ავიაქიმელები განსაკუთრებით ბევრია დღევანდელ პარადზე. ისინი მუშურ - გლეხური წითელი არმიის მტკიცე დაუშრეტელი რეზერვია.

ისინი იზრდებიან ყოველწლობით, ყოველთვეობით, ამაგრებენ საბჭოების ძლიერებას. ამ კოლონების პარადი ურყევად მოწმობს, რომ წითელ არმიას თავდაცვა-ავიაქიმის ხაზით ჰყავს მტკიცე ძალა, რომ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი მზადაა უკუაგდოს კაპიტალისტური თავდასხმების ყოველგვარი ცდა.

მოედანი ერთი წუთით თავისუფლდება. მაგრამ შორიდან უკვე მოისმის ცხენების ხმის თქარა-თქური. ეს არტილერია-ტანკის საწინააღმდეგო, სამთო ქვემეხები, მოტორები. მოექანებიან კავალერიის ესკადრონები. უცბად გაისმის გუგუნი. იგი უფრო და უფრო ძლიერდება. ეს ტრაქტორებია— ეზიდებიან მძიმე არტილერიის ქვემეხებს.

უხმოდ გაივლის სატვირთო მანქანებზე, ქვეითთა ჯარი შაშხანებით და ტყვიამფრქვევებით. მსუბუქად მისრიალებდენ ჯავშნოსნები.

მოედანზე შემოდის წყალმცურავი ტანკი. იგი იწყებს სხვადასხვა კონსტრუქციის ტანკების დაუსრულებელ მარშს. ლითონი მრავალი ათასი ტონა ლითონი, გამართული გრაგნილი გადაცემაზე. მაღალი კომპრესიული ტანკები, მრავალი, [illegible] ჯავშანში ჩაჭედილი მწვანე, უფრო, ფოლადისფერი მანქანები, ტანკი - ჯავშნოსნები, ტანკი დრედნოუტები.

მათი მსვლელობა შემაძრწუნებლად მრისხანეა. პროლეტარულ სახელმწიფოს შესანიშნავ მიღწევათა ამაღლებელი სანახაობაა. საბჭოთა კავშირი გახდა ძლიერი ქვეყანა თავდაცვის მხრივ თქვა პარტიის და ქვეყნის ბელადმა. პარადი ამის ბრწყინვალე ილუსტრაციაა. პირველმა ხუთწლედმა საბჭოთა კავშირი არაჩვეულებრივ სიმაღლეზე აწია. მეორე ხუთწლედის პირველი წელი შემდგომში გიგანტური ნაბიჯია წინ. სამრეწველო მშენებლობაში, ტექნიკის, სტრატოსფეროს დაუფლებაში საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებათა პარადს შეუერთდა სამხედრო ინდუსტრიის პარადი. არავითარი შედარება მუშურ-გლეხური წითელი არმიის მექანიზებულ და მოტორიზებულ ნაწილების მუშაობაში.

წითელი არმია ზედმიწევნით ეუფლება ურთულეს სამხედრო ტექნიკას. 12 საათსა და 15 წუთზე პარადი თავდება. წითელ მოედანზე დემონსტრანტების კოლონები შემოდიან. მოედანი ფერადდება ცისარტყელას ყველა ფერით, ივსება ნამდვილი საზეიმო აღტაცებით.

თვითეული კოლონა დემონსტრაციას ახდენს თავისი პროდუქციის მშვენიერ შესრულებულ პატარა მოდელით. მეტროს ვაგონი, [illegible] ბორბლებიანი მატარებელი, [illegible]... და თვითეული კოლონის პლაკატებზე ციფრები, საწარმოო გამარჯვებათა ამაყი ციფრები.

მრეწველობასა და ტრანსპორტთან ერთად ოქტომბრის დემონსტრაციაში საპატიო ადგილი უკავია სოფლის მეურნეობას. მეტროს ვაგონს ცვლის ოქროსფერი, მწიფე ხორბლის თავთავები, რომელიც წარმატებით, მიემართება ჩრდილოეთისაკენ. მოწინავე სამანქანო ინდუსტრიის უკანასკნელ მიღწევებთან ერთად მოულოდნელად გამოჩნდება უზარმაზარი ქურდღელი.

თავიდან და ბოლომდე, მავზოლეუმიდან და მოედნიდან, განუწყვეტლად გაისმის ურთიერთი მისალმება.

„გაუმარჯოს ამხ. სტალინს! გაუმარჯოს ბოლშევიკური პარტიას! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას"! გუგუნებენ უზარმაზარი მოედნის ერთი კიდურიდან მეორემდე.

მოსკოვის მუშებთან ერთად დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობს მაღაროების სტუმარი ნიკიტა იზოტოვი.

თავისი უდიდესი გამარჯვების საზეიმო დემონსტრაციების დროს დიდი პროლეტარული ქალაქის მშრომელები ერთი წუთითაც არ ივიწყებენ თავის საზღვარ-გარეთელ ამხანაგებს და ძმებს.

თვითეულ კოლონაში არის ლოზუნგები:

„ძირს ფაშიზმი"!

„სალამი გერმანიის კომპარტიის ბელადს ამხ. ტელმანს"!

„სალამი დიმიტროვს, ტორგლერს, პოპოვს და ტანევს"!

პლაკატებზე წარწერილი ეს სიტყვები, ინტერნაციონალური პროლეტარული სოლიდარობის საბრძოლო და მხურვალე სიტყვები გამუდმებით გაისმის დემონსტრანტების პირიდან, გამუდმებით მრისხანედ და მძლავრად ქუხს მოედანზე.

განსაკუთრებულად ორგანიზებულად და სანიმუშოდ ჩატარებული დემონსტრაციის უკანასკნელი კოლონები სრულ 4 საათზე ტოვებენ მოედანს. დემონსტრაციაში მონაწილეობდა 1.750 ათასი კაცი. მავზოლეუმიდან ჩამოდიან ამხ. სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ორჯონიკიძე. საბჭოთა კავშირის რევსამხედრო საბჭოს წევრები და სხვა.

7 ნოემბერს წითელმა მოსკოვმა, დიდი საბჭოთა ქვეყნის გულმა, მთელ მსოფლიოს მშრომელთა იმედმა და სიამაყემ თავის პარტიას და თავის მთავრობას უპატაკა:

მზად ვართ შრომისა და თავდაცვისათვის (ადს).

ჩვენ მივყევართ გამარჯვებისაკენ ბრძენ ბელადს, ამხ. სტალინს

მოსკოვის საბჭოს საზეიმო პლენუმი დიდ თეატრში

მოსკოვი, 8 ნოემბერი. არ არის ისეთი ციხე-სიმაგრე, რომელთა აღებაც არ შეეძლოთ ბოლშევიკებს. ამხ. სტალინის ამ სიტყვებმა, რომლებიც აღბეჭდილია თეთრი ზღვის არხის გიგანტურ მაკეტზე სვერდლოვის მოედანზე, მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს მოსკოვის საბჭოს პლენუმზე 6 ნოემბრის საღამოს. მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ბულგანინის სიტყვაში და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. მოლოტოვის მოხსენებაში გადმოცემული იყო განვლილი წლების უდიდესი შედეგები, წამოყენებული იყო სოციალისტური მშენებლობის შემდგომი ამოცანები.

საღამოს 6 საათზე დიდი თეატრის პარტერი და იარუსები გაჭედილია ხალხით. 6 საათსა და 45 წუთზე იწყება სხდომა.

ტრიბუნაზე ადიან ამხ. სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ორჯონიკიძე, სულიმოვი, ენუქიძე, რინდინი, კამინსკი, ტუხაჩევსკი, ეგოროვი, გამარნიკი და სხვები, რომლებსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით ესალმებიან.

გაუმარჯოს ამხ. სტალინს. ბელადისადმი მისალმების წამოძახილს ფარავს ხანგრძლივი ოვაციები.

საზეიმო პლენუმს ხსნის ამხ. ბულგანინი. შესავალი სიტყვის პირველ ნაწილს იგი უძღვნის იაპონიის მოძმე კომპარტიის გარდაცვლილ ბელადს და ორგანიზატორს სენ კატაიამას და წინადადებას აძლევს დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცენ მის ხსოვნას. ყველა დგება, ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს.

ამხ. ბულგანინი აჯამებს მუშათა კლასის და მშრომელების მონაპოვართა შედეგებს, იმ გმირული ბრძოლის შედეგებს, რომლებსაც აწარმოებენ მილიონები.

საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ ამხ. სტალინს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, ორჯონიკიძეს, კალინინს, კუიბიშევს, კიროვს, კოსიორს, ანდრეევს, პოსტიშევს, რუძუტაკს და ტელმანს. ამხ. სტალინის სახელის ხსენების დროს ყველა დამსწრენი დგებიან და მქუხარე ოვაციებით უმართავენ პარტიისა და მუშათა კლასის ბელადს.

დიდი სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. მოლოტოვი.

ამხ. მოლოტოვის მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო მისალმება ამხ. სტალინის სახელზე, რასაც დარბაზი ხანგრძლივი და ფრთოვანებული ოვაციებით უპასუხა. პლენუმი ავალებს პრეზიდიუმს გაუგზავნოს მისალმება საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა კავშირის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტს და სახკომსაბჭოს, ამხ. კალინინს და მოლოტოვს, ამხ. ვოროშილოვს და კომინტერნის აღმასკომს.

8 საათსა და 30 წუთზე ამხ. ბულგანინი სხდომას დახურულად აცხადებს (ადს).

45000 ფიზკულტურელმა მიიღო მონაწილეობა

შრომისა და თავდაცვისათვის მზადყოფნის დემონსტრაციაში

45.000

ნოემბრის რვა რუსთაველის პროსპექტზე

საქართველოს ფიზკულტურას ათი წელიწადი შეუსრულდა.

დღეს საიუბილეო ზეიმია ტფილისში და მისი სარბიელი რუსთაველის პროსპექტია.

თავისუფლების მოედანი ავსებულია მზით.

თითქოს მორჩილი, მოოქრული ტბა არის, სადაც მოქალაქენი მოცურავეებს ჰგვანან, ტრამვაები იახტებს და სახლებზე მიფენილი პლაკატები ფერად აფრებს.

რვა ნოემბერს ტფილისში მხურვალე მზეა და მოედანზე ბავშვები ცოცხალ იებს ჰყიდიან.

ეს კარგი შესავალია დღესასწაულისათვის.

დილიდანვე რუსთაველის პროსპექტი მზად არის სასპარეზოდ.

დაწყებული სასახლიდან, ვიდრე ოპერის თეატრამდე, ქუჩის ორივე მხარეს გამართულია ხეივანი წითელი დროშების, რომელიც ამართული აქვეთ ხელოვნურად გამოჭრილ თეთრ ფიზკულტურელებს.

ეს ჩვენი მხატვრების წუხანდელი მუშაობაა და მათი გემოვნების კარგი საბუთი. მუზეუმის გვერდით ხუთსართულიან სახლზე დგას დიდი წითელი სილუეტი თავით ფეხამდე ამხ. სტალინის, რომელიც სიმაღლიდან ჩასჩერებია ფერებით და ხმებით ავსებულ არხს პროსპექტისას.

* * *

დილის ათ საათზე პროსპექტზე კიდევ ჩვეულებრივი მოძრაობაა, მაგრამ ქუჩების შესართავებთან უკვე ჩადგნენ ცხენოსანი დარაჯები წყვილწყვილად, და სახლების გაღებულ ფანჯრების ჩარჩოები სავსეა ხალხით. ავტოებით დაჰქრიან თეთრად ჩაცმული ფიზკულტურის მეთაურები და გზა-გზა აბნევენ განკარგულებებს.

ჰაერი უკვე გაჟღენთილია მოლოდინით და შორეული ხმები მუსიკის ჰბადებენ რაღაც ფარულ მღელვარებას.

შუადღეზე პროსპექტი შეიკრა, მოძრაობა შეჩერდა და დაიწყო უბნებად დაბუდება მაყურებლების.

საუბარი უმთავრესად ამინდს ეხება, რადგან ღრუბელთა ფარა ჩრდილოეთიდან სამხრეთით მიიზანტება.

ღრუბლების ჩრდილი ქუჩასაც ეფინება, მაგრამ ეს ჩრდილი დაჩაგრა სამხედრო ორკესტრების ელვარებამ.

ორკესტრები ბაჯაღლოს ტალღებად მოცურავენ. შუა ქუჩაში თექვსმეტი ორკესტრი შეერთდა და ჩადგა სასახლესთან ამართულ მთავრობის ტრიბუნის პირდაპირ.

ორკესტრებს მეთაურობს ამხ. დოლენკო, ეს მართლა ძველი დამკვრელი კაპელმეისტერი.

სასახლის მოედნიდან დაიძრა ოთხი მანქანა, სავსე მთავრობის წევრებით.

ისინი ეშურებიან აღლუმის ნაწილებისაკენ. მართლა მანქანებია საჭირო, რომ ჩაუარო ორმოცდა ხუთი ათას აღლუმში მონაწილეს, მწკრივებად ჩამდგარს ქუჩებში.

აღლუმის სარდალმა ამხ. ბუაჩიძემ პატაკი გადასცა საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარეს ამხ. ფილიპე მახარაძეს, და საერთო „ვაშა"-ს ძახილმა შეაზრიალა ჰაერი.

ორკესტრები უკვე მზად იყვნენ ამ ხმების საპასუხოდ.

დაიგრიალა მუსიკამ, როგორც მიწიდან ამოხეთქილმა ხმათა შადრევანმა.

მთავრობის ტრიბუნაზე დგანან ამხ. ფ. მახარაძე, პ. აღნიაშვილი, სმოლინი, გ. ყურულაშვილი, ტ. ლორთქიფანიძე, დ. კილაძე, გ. სტურუა, ჟ. გიორგობიანი, გ. ქუთათელაძე, ს. ბუაჩიძე და სხვ.

* * *

დღის ორ საათზე დაიწყო ნაწილების მარში.

მოდიან ფიზკულტურელები ჯარიდან.

გაშალაშინებულ ასფალტს ებეჯდება ფეხთა ტკაცუნი.

წინ მეთაურები წითელ ხალათებში. მეთაურები უცქერენ ტრიბუნას როტ-ფრონტის სალამით.

ტრიბუნიდან გადმოვარდნილი ხმა—

„გაუმარჯოს ამხ. სტალინს".

ეცემა ვაშას გუგუნში.

ყველა ფიზკულტურელი თეთრად არის ჩაცმული და კოლონები შორიდან ჰგვანან მთიდან დაძრულ თოვლის ზვავებს.

ტრიბუნიდან ნასროლი ლოზუნგი: ძირს გაიძვერა ჰერინგი, გაუმარჯოს ამხ. დიმიტროვს, ტორგლერს და გერმანიის კომპარტიას—ფარავს ორკესტრების ხმას და ამ ლოზუნგს დროშასავით იტაცებს ვაშას ძახილი და წინ მიაქანებს.

სამხედრო ნაწილებს მოსდევს პიონერთა კოლონები. აქ ყველას მწვანედ აცვია და ყველას ამშვენებს განუყრელი წითელი ყელსახვევი. ეს კოლონა ჰგავს იონჯის მღელვარე მინდორს, ყაყაჩოებით მოფენილს.

* * *

2 საათსა და 25 წ. გამოჩნდა **ლენინის რაიონი.**

წითლად აელვარდენ დროშები.

უამრავ დროშებიდან ლენინელებს ხუთ ქიმიანი ვარსკვლავი შეუკრავთ; და თუ სიმაღლიდან გადახედავ მათ პირველ კოლონას, ეს ვარსკვლავი სრულებით გარკვეულად ჩანს თეთრ ჩარჩოში ჩასმული. ბევრმა არ იცის, რომ ასეთი ხერხი პირველად ლენინგრადელებმა მოიგონეს ფიზკულტურის დღესასწაულზე, მაგრამ კარგი მაგალითი ყოველთვის მისაღებია. მუსიკას, ლოზუნგების ძახილს, ბეჯით ფეხის ხმას, ვაშას გრიალს, ახლა მაყურებლების ტაშის ცემა შეემატა და პროსპექტს ახალი სიცოცხლე მიეცა.

თავისუფალ, ცოცხალ კედლებად მოდიან ინსტრუქტორები.

მათ ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად, ისე იოლად ასრულებენ თავის მოვალეობას და მუსიკის ხმასთან შეთანხმებული მათი მარში ჰგავს შესანიშნავად დადგმულ რიტმიულ წარმოდგენას.

თვალს ახალისებს ქალთა მწკრივები.

როდესაც გამოჩნდება მწკრივი ფეხბურთელების, ჰაერში ამართულ ბურთებით, კიდევ ერთხელ გაისმის ტაშის გრიალი ხალხში.

26 კომუნარის რაიონს ქალები მეთაურობენ. ყველას თანაბრად აცვია თეთრი ხალათები და ლურჯი კაბები.

საერთოდ რაიონის სვლას ახასიათებს მუშური იერი.

* * *

დღის სამ საათზე მოდიან **სტალინელები.**

გედის ფრთებივით გაშლილ თეთრ დროშებზე ქართულად და რუსულად აწერია: „სტალინის რაიონი".

პირველ კოლონაში თანაბარი ახალგაზრდობაა. მოდიან თავისუფლად, ხალისით, ამაყად, თითქოს შეჯიბრებაში იწვევენ ყველა გუნდში მონაწილეთ.

ეს ფიზკულტურელთა ტექნიკუმია.

გაუმარჯოს ფიზკულტურელთა უდიდეს მეგობარს ამხ. **სტალინს,**—ისმის ტრიბუნიდან.

ვაშა, კეცე, ურრაა, ვაშააააა! გაისმის ახალგაზრდების მკვეთრი პასუხი.

მათ ჩაიარეს, როგორც ბრძოლაში გამარჯვებულებმა და თან გაიყოლეს მაყურებელთა სიხარული.

მოდიან მენაოსნები ჰაერში ამართულ ნიჩბებით, ტურისტები თხილამურებით.

კიდევ იძვრის ბრწყინვალე, სრულებით თეთრი ზვავი. ყველას მკერდზე სტალინის წითელი სილუეტი აქვს მიკრული.

ნახევარი საათი გრძელდება სტალინელთა დენა, და როდესაც იგი დასრულდა, პროსპექტი მთლიანმა წითელმა ფერმა დაიპყრო.

* * *

მოტორტმანობს სამი მოძრავი კვარცხლბეკი, სადა და სრულებით წითელი. სამთავეზე, როგორც ქანდაკება ცოცხალ ფიზკულტურელთა ჯგუფებია, და როდესაც ისინი შეცურდენ მუსიკის ხმებში, ტაშმა კიდევ ერთხელ დაჰფარა ჰაერი.

ეს **ორჯონიკიძის** რაიონის მოწინავეებია.

ორმოცი წუთი თვალი არ იღლება სადღესასწაულო სანახობის ცქერით. მოსწავლე ახალგაზრდობა უკვე შეიარაღებულია სადემონსტრაციო ტექნიკით.

როგორც გამოცდილი ჯარი სამხედრო აღლუმზე, ისე მოდის რაიონი. ეს დენა ერთბაშ შთაბეჭდილებას ტოვებს და დღესასწაულის საერთო სურათს კიდევ უფრო ამდიდრებს. თუ რაიონის რიგებში შეიძლება კიდევ ვინმეს გამორჩევა, უნდა შევჩერდეთ ტენისელებზე, გარეგანი ბრწყინვალებით მათი დაჯაბნა ძნელია.

* * *

4 საათზე და 10 წუთზე გამოჩნდენ **„დინამოელები".**

ყველა თეთრად და ცისფრად არის მორთული.

წინა რიგები მოდიან მოშვერილი თოფებით. ვაშას ძახილი მიაფანტეს ცას და ძალიან ვაჟკაცურად ჩაიარეს. ქალთა მწკრივები „გეკოს" თოფებით, ფეხბურთელები ჰაერში მოელვარე ბურთებით, ტენისელები, მოჭიდავეები და მძიმე გირებზე მოვარჯიშენ და სრულებით მოულოდნელად მონადირეები მხარზე დაკიდებულ ორლულიან თოფებით, რომელთაც კვალდაკვალ მოსდევენ ლამაზი პოინტერები, ფერადი სეტერები, მადევრები და სხვა ჯიშის ძაღლები. მაყურებელ ბავშვების სიხარულს საზღვარი არა აქვს.

შორიდან მოისმის ყიჟინის ხმა. მოისმის ცხენთა თქარუნი. ეს **„დინამო"-ს** ცხენოსანთა სექცია მოჰქრის ვაშას ძახილით.

დღესასწაული კიდევ უფრო გაცოცხლდა, მუსიკამ ჰანგი იცვალა, აწკრიალდენ ველოს ზარები, ტრიბუნასთან ჩაიქროლეს ველო-სპორტელებმა და აღლუმი დასრულდა.

* * *

45 ათას ფიზკულტურელის მდინარება სამი საათი გრძელდებოდა.

დაახლოვებით 40.000 მონაწილე თეთრად იყო ჩაცმული.

ტფილისის ფიზკულტურელებმა კარგად გაიმარჯვეს და კიდევ უფრო გააცხოველებენ ვარჯიშობას.

ხალხში კამათი გაჩაღდა ნაწილების უპირატესობაზე — და ეს ნამდვილი ნიშანია საერთო კმაყოფილების.

იყო წუთი, როდესაც ცხენოსან წესრიგის მცველებს გაუჭირდათ ქუჩებიდან და ქვაფენილებიდან მოხეთქილ ხალხის შეჩერება.

ყველას წინ დგომა სურს სანახაობაში. ესეც მიზეზია. მაგრამ მთავარი მიზეზი სივიწროვისა, რომელსაც ადგილი აქვს ტფილისში დემონსტრაციების დროს არის ქალაქში დიდი მოედანის უქონლობა.

ნოემბრის რვას, ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ტფილისი იზრდება და მას შესაფერი მოედანი ჰჭირდება.

პაოლო იაშვილი.

ოქტომბრის ზეიმი ტფილისში

დილის 8 საათია. სწრაფად და უხმაუროდ ჩამწკრივდა ჯარი რუსთაველის პროსპექტის გასწვრივ. ჯარს ჩამოუარა აღლუმის სარდალმა, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის თანაშემწემ ამხ. **ქუთათელაძემ.** დამთავრდა უკანასკნელი მზადება აღლუმისათვის.

თავისუფლების მოედანზე საათმა ათი დარეკა. გაისმის ბრძანება: — სმენა!

არმიის სარდალმა ამხ. **სმოლინმა** რევოლუციურ სამხედრო საბჭოს წევრების, ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობების და პარტიის ხელმძღვანელების ამხ. **მახარაძის, მეერზონის, აღნიაშვილის, მგალობლიშვილის** და სხვ. თანხლებით, ჩამოუარა ჯარს, მიულოცა მას ოქტომბრის 16 წლის თავი და კავკასიის წითელდროშოვანი არმიის 15 წლის თავი.

ლენინის რაიონის მუშათა კოლონებს ხვდება „26" სახელობის რაიონის დემონსტრაცია. წინ მოდიან პიონერთა რაზმები. ისინი რამდენიმე წუთით ჩერდებიან ტრიბუნის პირდაპირ. გაისმა ბრძანება, პიონერები დაეცენ მიწაზე და რუხ ასფალტზე აღიბეჭდა:

„სალამი ოქტომბრის 16 წლის თავს".

დამკვრელი ფაბრიკა „მკერავის" მუშა-ქალები, საშაქარლამო ფაბრიკის დამკვრელი ქალები სეტყვასავით ისვრიან ყვავილებს ტრიბუნაზე და ესალმებიან პარტიულ ორგანიზაციების და მთავრობის ხელმძღვანელებს.

ტფილისის ქარხნების დამკვრელ მუშებს ფეხდაფეხ მიყვებიან საკოლმეურნეო მინდვრების დამკვრელები — საშეფო კოლმეურნეობათა დელეგატები. დემონსტრაციაზე მათ მოიტანეს საკოლმეურნეო შრომით მოწეული ხეხილის ნიმუშები. ყურძნის მტევნები, სურნელოვანი კომში, მწიფე მსხალი, ვაშლი და იაპონური ხურმა.

მოდიან სულ ახალი და ახალი კოლონები. ა. კ. გზათა საინჟინერო ინსტიტუტის სტუდენტების — ტრანსპორტის მომავალი მეთაურების — კოლონაზე ამართულია პლაკატი წარწერით: „საბჭოთა ინჟინერი ყველაზე უკეთესი უნდა იყოს მსოფლიოში".

ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა იძლევა პატაკს, რომ იგი დაეუფლა ჩვენი სოციალისტური მრეწველობისათვის საჭირო მთელ რიგ რთულ მანქანებს და მოწყობილობას.

ტრიბუნიდან გაისმის მხურვალე ლოზუნგები, რომლებსაც ვაშას ძახილით უპასუხებენ მშრომელთა ათასები.

— საქ. კ. პ. (ბ) და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის დროშით წინ ახალი გამარჯვებებისაკენ!

— გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტს — ამხ. ბერიას!

— სალამი გერმანიის გმირულ კომპარტიას! გაუმარჯოს ამხ. ტორგლერს, დიმიტროვს, ტანევს და პოპოვს!

4 საათამდე განუწყვეტლივ მოდის მშრომელთა მძლავრი ნაკადი, რომლებიც ცხადჰყოფენ თავის მზადყოფნას შრომისათვის და მტკიცე ნებისყოფას დაიცვან საბჭოთა ქვეყანა.

ფეხბურთი

მოსკოვი — ტფილისი

ტფილისში ჩამოვიდა მოსკოვის ერთ-ერთი ძლიერ ფეხბურთელთა გუნდი „სერპ ი მოლოტი". აღნიშნულმა გუნდმა ტფილისში ჩაატარა სამი შეჯიბრება. პირველად ის შეხვდა ტფილისის საზკვებვს გუნდს, რომელთანაც თამაში დაამთავრა 3 : 2 თავის სასარგებლოდ. მეორედ ის შეხვდა ტფილისის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდს. აქაც თამაში ძალიან საინტერესო გამოდგა, და მეორე გამარჯვებაც რჩება მოსკოვს. ის თამაშს ამთავრებს 4 : 2 თავის სასარგებლოდ. მოსკოვის გუნდის მესამე შეხვედრა მოხდა „დინამო" პირველთან ლენინის სახელობის სტადიონზე 6 ნოემბერს. თამაში დაიწყო ჩვეულებრივად და თითქმის თანაბრად მიმდინარეობდა, მაგრამ თამაშის პროცესში უპირატესობა დაეტყო მოსკოვის გუნდს და ერთ-ერთი კრიტიკული მომენტის დროს ისინი ათავსებენ ბურთს „დინამოს" ბადეში. ამ შედეგმა თამაში უფრო გააცხოველა. ორივე გუნდი, გადადიოდა პერიოდულად თავდასხმაზე და პირველ ნახევრის დამთავრებამდე „დინამოელი" ვაჩნაძე კუთხური დარტყმით უგზავნის სტუმრებს საპასუხო ბურთს. ამგვარად, პირველი ნახევარი მთავრდება 1 : 1 მეორე ნახევარი იწყება „დინამოელების" შეტევით და მეოცე წუთზე ახლამაზოვი თავური დარტყმით ათავსებს მეორე ბურთს სტუმრების ბადეში. მოსკოველები კიდევ ზრდიან ერთით ანგარიშს და თამაში მთავრდება 2 : 2 ფრედ.

ცილობა ფრანგულ ჭიდაობაში

ცილობა ფრანგულ ჭიდაობაში, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 30 ოქტომბერს „დინამოს" სპორტდარბაზში ნაკრებ პროფკავშირებისა და „დინამოს" ნაკრებ გუნდებს შორის გადადებულია 13 ნოემბრისათვის და მოეწყობა ლენინის სახელობის სპორტდარბაზში. როსტოვის მოჭიდავეთა კოლექტივი ტფილისში ჩამოვა 18 ნოემბერს და შეხვდება ტფილისის ნაკრებ მოჭიდავეთა კოლექტივს 20 ნოემბერს. გარდა ფრანგულ ჭიდაობისა, ჩატარებული იქნება კრივი.

მაღლა დავიჭიროთ პირველობისა და გამარჯვების დროშას

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანს ამხ. პეტრე აღნიაშვილს.

ს. კ. პ. (ბ) ტფ. კომიტეტის მდივანს და საქ. ფიზკულტურის უმ. საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ს. აკოპოვს.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის სახ. რაიკომის მდივანს ამხ. მიშა გობეჩიძეს

საბჭოთა ფიზკულტურის 10 წლის თავის მოახლოვებასთან დაკავშირებით ტფილისის სახ. უნივერსიტეტში გაცხოველებულ იქნა ფიზკულტურული მოძრაობა. მოკლე ხნის განმავლობაში ფიზკულტურელთა რიგებში ჩაბმული იქნა 2000 სტუდენტი, მათ შორის 700 ქალი. პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით გაჩაღებული იქნა მოსამზადებელი მუშაობა ფიზკულტურის აღლუმისათვის. ფიზკულტურელთა აღლუმზე უკეთ გასვლისათვის ფართედ გავშალეთ სოც.-შეჯიბრება ფაკულტეტების, ჯგუფებისა და ცალკე სტუდენტებს შორის. პარტიული, კომკავშირული და პროფესიონალური ორგანიზაციების აქტიური მუშაობით, ტფილისის სახ. უნივერსიტეტმა დაიჭირა პირველი ადგილი მთელ რაიონში ფიზკულტურელთა აღლუმზე და მიიღო პირველობის დროშა.

ეს გამარჯვება მიღწეულ იქნა იმის შედეგათ, რომ: ფიზკულტურის 10 წლის თავის ჩატარების პოლიტიკური მნიშვნელობა შეგნებული ჰქონდა თვითეულ სტუდენტს. გატარებული იქნა მტკიცე ბოლშევიკური დისციპლინა ფიზკულტურელთა რიგებში. პარტიული, კომკავშირის და პროფესიონალური ორგანიზაციები აქტიური მონდომებით, ორჯონიკიძის სახ. რაიკომის ყოველდღიურ ხელმძღვანელობით და დახმარებით იბრძოდენ აღლუმისათვის უკეთ მოსამზადებლად.

ვღებულობთ რა ორჯონიკიძის სახ. რაიკომიდან გადმოცემულ გამარჯვებისა და პირველობის დროშას, ვსდებთ პირობას, რომ სოციალისტური მშენებლობისათვის მეცნიერების ცოდნით შეიარაღებული ბოლშევიკურ კადრების მომზადებასთან ერთად მივსცეთ ქვეყანას ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანები.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ პარტიის სწორი ხელმძღვანელობით მიღწეულ გამარჯვებათა განმტკიცების საფუძველზე კიდევ უფრო გავშლით ფიზკულტურულ მუშაობას, ჩავაბამთ ფიზკულტურელთა რიგებში სტუდენტობას მთელი 100 პროც.-ით და ვიბრძოლებთ ფიზკულტურული მომზადების მაღალი მაჩვენებლებისათვის.

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) და მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელ ბელადს ამხ. სტალინს.

გაუმარჯოს ფიზკულტურულ მოძრაობას და მის ორგანიზატორს ამიერ-კავკასიაში, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხ. ლ. ბერიას.

საქ. კ. პ. (ბ) სახუნტის პარტკომის მდივანი **ს. მინდაძე.**

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის 15 წლისთავი

საზეიმო სხდომა რუსთაველის თეატრში

7 ნოემბერს რუსთაველის თეატრში შესდგა კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს საზეიმო სხდომა გარნიზონის ნაწილებთან და ამიერ-კავკასიის, საქართველოს და ტფილისის პარტიულ, საბჭოთა და პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად.

მთელი სცენის გასწვრივ წითელ ტილოზე ელვარებს ლოზუნგი:

„კავკასიის წითელდროშოვანი არმია — **საბჭოთა ამიერ-კავკასიის** მშრომელთა შეიარაღებული ავანგარდია. ამიერ-კავკასიის პროლეტარებო და კოლმეურნეებო, მტკიცედ **დაუკავშირდით არმიას.**

საზეიმო სხდომა გაიხსნა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსის ამხ. **შიფრესის** მოკლე სიტყვით. საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმში არჩეული არიან: საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ლენინის საუკეთესო თანამებრძოლის — მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. **სტალინის** მეთაურობით, საბჭოთა კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭო წითელი არმიის მებრძოლი ბელადის, სამოქალაქო ომის გმირის, საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიის განმტკიცების საუკეთესო დამკვრელის—ამხ. **ვოროშილოვის** მეთაურობით, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სახელოვანი ვეტერანი ამხ. **ორჯონიკიძე, კიროვი, ეგოროვი, კორკი** და **ლევანდოვსკი,** მამაცი მებრძოლები მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის ამხ. **ტელმანი, დიმიტროვი** და **ტორგლერი,** საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ლ. ბერია.**

ამხ. შიფრესი კავკასიის წითელდროშოვანი არმიის 15 წლისთავის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად სიტყვას აძლევს კავკასიის წითელდროშოვან არმიის სარდალს ამხ. სმოლინს, რომლის გამოჩენას ტრიბუნაზე დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება. თავის მოხსენებაში, რომელიც ერთ საათს გაგრძელდა, ამხ. სმოლინმა გააცნო დამსწრეთ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მიერ განვლილი გმირული გზა, არმიის, რომელმაც მრავალი გმირული ფურცელი ჩასწერა უძლეველი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ბრძოლის ისტორიაში.

პირველი სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანს ამხ. **მეერზონს,** რომელიც მიესალმა კავკასიის წითელდროშოვან არმიას საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის სახელით. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს მთავრობის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ფ. მახარაძემ.**

კავკასიის წითელდროშოვან არმიას მიესალმენ ტფილისის პიონერები და გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ჯარის წარმომადგენელი. ამხ. **ნოვიკოვი,** რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის და ტფილისის საბჭოს სახელით მიესალმა კავკასიის წითელდროშოვან არმიას სახელოვანი იუბილეს გამო, გამოაცხადა, რომ საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა დააჯილდოვოს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის საუკეთესო მეომრები და მეთაურთა შემადგენლობა.

საქ. ა. ლ. კ. კ-ის ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს ალკკ-ის ცენტრალური კომიტეტის სახელით საქ. ალკკ-ის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **გიორგობიანმა** განაცხადა, რომ კომკავშირმა გადასწყვიტა მოამზადოს 15.000 ვოროშილოველი მსროლელი — კომკავშირელები და შეაგროვოს სახსრები თვითმფრინავთა რაზმის ასაგებად. ამიერ-კავკასიის კომკავშირის გადაწყვეტილებით დაწესებულია გარდამავალი წითელი დროშა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაწილებში საუკეთესო საბრძოლო მომზადებისათვის. ეს დროშა გადაეცა ქართულ № საარტილერიო პოლკს, რომლის კომკავშირელებმაც ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს საბრძოლო მომზადების საქმეში.

შემდეგ წითელდროშოვან არმიას მიესალმენ ბაქოს და ერევნის მუშათა დელეგაციები, საქართველოს მოწინავე კოლმეურნეობათა კოლმეურნეები.

* * *

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმმა მიიღო მთელი რიგი მისასალმებელი დეპეშები საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, მათ შორის სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისრის მოადგილის და საბჭოთა კავშირის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. **გამარნიკისაგან,** ამხ. **ს. ორჯონიკიძისაგან,** ამხ. **კიროვისაგან,** მე-11 არმიის ყოფილ სარდლის ამხ. **ვასილენკოსაგან** და სხვ. (აღს).

პარლამენტის ბიბლიოთეკა

მოსკოვის საბჭოს 6 ნოემბრის საზეიმო პლენუმის მისალმება

ამხ. სტალინს

ლენინის დიად თანამებრძოლს, ოქტომბრის ორგანიზატორს, პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ბელადს, შენ ამხ. სტალინ, მოსკოვის საბჭოს საზეიმო პლენუმი, მოსკოვის პროლეტარების და ოლქის კოლმეურნეთა სახელით ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავზე გიგზავნის მხურვალე კომუნისტურ სალამს.

ლენინის პარტია შენი ბრძნული ხელმძღვანელობით ბრძოლით განვლო ბრძოლის და გამარჯვებათა დიადი გზა, მან ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის პოლიტიკის წარმატებით გატარებით და სიძნელეების გადალახვით საბჭოების ქვეყანა სუსტი და უმწეო ქვეყნიდან გადააქცია უდიდეს ინდუსტრიალურ, სოციალისტურ ქვეყნად, მტრებისათვის საშიშ ქვეყნად და ყველა ჩაგრულთათვის საიმედო დასაყრდენად.

საბჭოთა ქვეყნის თვალუწვდენელ სივრცეზე, სადაც წინათ გამეფებული იყო პატრიარქალობა, უგზოობა, ნახევრად ველურობა და ნამდვილი ველურობა, მოწყობილია ასეული ახალი გიგანტები, ქარხნები, რამდენიმე ათასი საბჭოთა მეურნეობები, ათეული ათასი კოლმეურნეობები, ახალი, ქალაქები. პარტია, რომელმაც შენი კონკრეტული მითითებებით გაშალა თვითკრიტიკა, სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, წარმატებით იბრძვის ახალი ტექნიკის დაუფლებისათვის, შრომის დისციპლინისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მუშათა ახალი კულტურული ყოფაცხოვრებისათვის და კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრებისათვის.

საბჭოთა კავშირმა, რომელიც განამტკიცებდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარს და ატარებდა მშვიდობიანობის პოლიტიკას, თავისი ძლიერების მეოხებით დაიკავა საერთაშორისო ურთიერთობაში პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის შესაფერი ადგილი. ახალ იმპერიალისტურ ომში, საბჭოთა კავშირზე თავდასხმაში ეძებენ იმპერიალისტები კრიზისიდან გამოსავალს. იაპონიის სამხედრო ფაშისტური წრეები აწყობენ შორეულ აღმოსავლეთში ანტისაბჭოთა პროვოკაციებს. ჩვენ სიტყვას გაძლევთ შენ, ძვირფასო სტალინ, რომ მოსკოვის პროლეტარები და კოლმეურნეები და [illegible] მშრომელები მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარებთან და მშრომელებთან ერთად თავგანწირვით დაიცავენ საბჭოთა მიწის თვითეულ მტკაველს.

ჩვენ სიტყვას გაძლევთ შენ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა მოვსპოთ ყველა მტრები, რომლებიც თავს დაესხმიან საბჭოების დიად ქვეყანას.

შენი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირი გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიალურ ქვეყნად, რომელსაც შესწევს უნარი საჭირო რაოდენობით მიაწოდოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას თავდაცვის ყველა თანამედროვე იარაღი. დასავლეთის და აღმოსავლეთის მუშათა და მშრომელთა მილიონები იმედით და სიყვარულით შეჰყურებენ საბჭოთა კავშირს — სოციალიზმის ურყევ ციხე-სიმაგრეს, საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის მტკიცე დასაყრდენს.

ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის სასიხარულო დღეს ჩვენ, პროლეტარები და კოლმეურნეები, სიტყვას გაძლევთ შენ, ლენინის საქმის უდიდეს გამგრძელებელს, რომ ჩვენ სოციალიზმის საქმის უსაზღვროდ ერთგული ვართ და მზად ვართ ბოლშევიკური თავგანწირვით, რკინისებური დისციპლინის დაცვით ერთსულოვნად და შემჭიდროვებულად წავიდეთ წინ, შენი ხელმძღვანელობით, მსოფლიო ოქტომბრისაკენ.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის ძლიერ პარტიას—ოქტომბრის გამარჯვებათა უდიდეს ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს, ყველა ქვეყნის პროლეტარების და ჩაგრული ხალხების ბელადს და მასწავლებელს — დიად სტალინს! (ადს).

მოჰკლეს ავღანისტანის მეფე ნადირ შაჰი

რეიტერის სააგენტოს ცნობა

ლონდონი, 8 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ავღანისტანის ელჩმა ლონდონში მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ 8 ნოემბერს დილით მოჰკლეს ავღანისტანის მეფე და რომ ნაშუადღევს მეფედ გამოცხადებულ იქნა მისი შვილი".

„შენიშვნა: ავღანისტანის მოკლული მეფე ნადირ შაჰი პირველ ხანებში მეთაურობდა ნაციონალ-პროგრესიული პარტიის ზომიერ ფრთას, ნადირ-ხანს თანამიმდევრობით ეკავა ჯარების სარდლის და სამხედრო მინისტრის თანამდებობანი, აგრეთვე კატაგან ბადახშანის პროვინციის გენერალ გუბერნატორის თანამდებობა. 1924 წელს იგი დაინიშნა ელჩად პარიზში. 1925 წელს, როცა ხელისუფლებას სათავეში ედგა ამანულა-ხანი, ნაციონალ-პროგრესიული პარტიის ორ მიმდინარეობას შორის (რადიკალური და ზომიერი) ბრძოლის გამწვავების პერიოდში ნადირ-ხანი გადადგა ელჩის თანამდებობიდან და დარჩა საფრანგეთში კერძო პირის სახით, იგი ოთხი წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობდა ნიცაში. 1929 წელს ამანულა-ხანის დამხობისა და ბაჩე საკაოს მიერ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ, ნადირ-ხანი საფრანგეთიდან გაემგზავრა ავღანისტანში. დაბრუნების შემდეგ ნადირ-ხანმა თავი მოუყარა საგრძნობ ძალებს და აიღო ქაბული, რის შემდეგ არჩეულ იქნა ფადიშაჰად (ადს).

ავღანისტანის მეფე მოკლა სტუდენტმა

ლონდონი, 9 ნოემბერი. ქაბულიდან მიღებული ცნობებით, ავღანისტანის მეფე ნადირი მოკლა სტუდენტმა. ფიქრობენ, რომ ეს სტუდენტი ეკუთვნის გერმანიიდან ამას წინათ გადასახლებულ სტუდენტთა ჯგუფს. აღნიშნავენ, რომ გერმანიიდან გაძევებულმა მეორე ავღანელმა სტუდენტმა სექტემბრის დამლევს მოკლა ინგლისის საელჩოს მოხელე ქაბულში.

ავღანისტანის ელჩი ლონდონში ალი მუჰამედ ხანი გაფრინდა პარიზში, რათა ეთათბიროს მოკლული მეფის ძმას—ავღანისტანის ელჩს საფრანგეთში (დას).

დიპლომატიური კორპუსის მიღება ოქტომბრის წლისთავის დღეს

მოსკოვი. 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის მე-16 წლისთავის დღესასწაულის გამო, სსრკ-ს ცაკ-ის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო დიპლომატიური კორპუსი, რომელსაც დაესწრნენ სსრკ-ს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ი. მოლოტოვი (სკრიაბინი), სსრკ-ს მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსი სრული შემადგენლობით, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის და სხვა სახკომისარიატთა პასუხისმგებელი თანამშრომელნი, საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი და უცხოეთისა და საბჭოთა პრესის წარმომადგენელნი.

რადიო. ანკარა

ამხ. სტალინს, კალინინს, მოლოტოვს

იახტა „ერტუგრული", მარმარილოს ზღვა

მთელი ჩვენი სულითა და გულით თქვენთან ვართ პროლეტარული რევოლუციის მე-16 წლისთავზე. ბოლშევიკურ სალამს ვუთვლით მეგობრული თურქეთიდან სსრკ-ის მშრომელებსა და სახელოვან წითელ არმიას.

ვოროშილოვი, კარახანი, ბუბნოვი, კრუჟანოვსკი, ბუდიონი და ყველა თანმხლები ამხანაგი

რადიო. ანკარა

ამხ. სტალინს

იახტა „ერტუგრული" 7 ნოემბრის 10 ს. 30 წ.

ვუსმენთ წითელ მოედანს იახტა „ერტუგრულის" ბორტზე, მარმარილოს ზღვაში, ბრუსისაკენ მიმავალ გზაზე. ეს-ეს არის მოვისმინეთ ამხ კალინინის სიტყვა ჩვენი დიადი გამარჯვებების შესახებ და თქვენთან ერთად განვიცდით ჩვენი პროლეტარული დღესასწაულის სიხარულს!

გაუმარჯოს პარტიის ც.კ-ს! გაუმარჯოს ჩვენს სტალინს!

ვოროშილოვი კარახანი ბუბნოვი, კრუჟანოვსკი. ბუდიონი. სურიცი.

მისალმება თურქეთის რესპ. მთავრობისაგან საბჭ. კავშ. მთავრობას

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ. ნ. ღაზი მუსტაფა ქემალ-ფაშას დეპეშა ს.ს.რ.კ-ის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. კალინინს.

ბ. ნ. კალინინს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს

მოსკოვი.

ამ დღეს, როცა თურქები ბედნიერი არიან, რომ მათ შორის იმყოფება დიდი მეგობრული ქვეყნის დელეგაცია, მე გთხოვთ მიიღოთ ჩემი უაღრესად მხურვალე მილოცვები ოქტომბრის რევოლუციის მე-16 წლისთავის გამო, აგრეთვე ღრმად გულწრფელი სურვილები პირადად თქვენი და მეგობრული საბჭოთა კავშირის ხალხების წარმატებისა.

პირველი ღუმელი დაუბრკოლებლად მუშაობს

ზესტაფონი, 10 ნოემბ. (სპეც. კორ.) ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის პირველმა ღუმელმა 10 ნოემბრამდე გამოადნო 76 ტონა ლითონი. ამავე ღუმელმა 10 ნოემბრიდან 13 ნოემბრამდე გეგმით ყოველდღიურად უნდა გამოადნოს 12 ტონა ლითონი.

პირველი ღუმელი, მისი სრული ათვისების შემდეგ, ყოველდღიურად მოგვცემს 38 ტონა ფერო-შენადნობს.

აკაკი ნიკოლაიშვილი

მარგანეცი

5 ნოემბერს მარგანეცის ამოღების გეგმა შესრულდა 100,5 პროც., გარეცხვის—87,8 პროც.

	ამოღება			გარეცხვა		
	დავალება	შესრულება	%	დავალება	შესრულება	%
სულ . . .	4.284	4.305	100,5	2.084	1.829	87,8
მათ შორის:						
ქარხ.-მაღ. № 1	105	105	100,0	52	48	92,3
„ „ № 3	185	186	100,5	102	89	87,3
„ „ № 4	328	348	106,1	—	171	—
„ „ № 5	417	419	100,5	229	183	79,9
„ „ № 11	688	656	95,3	590	315	53,4
„ „ № 17	245	267	109,0	115	120	104,3
„ „ № 25	655	673	102,7	410	279	63,0
„ „ № 29-30	688	743	108,0	360	432	120,0
„ „ № 33	259	263	101,5	156	159	101,9
მაღარო № 36	524	475	90,6	—	—	—
„ № 26	190	170	89,5	—	—	—
ქარხანა № 27	—	—	—	70	33	47,1

ქვანახშირი

6 ნოემბერს ქვანახშირის ამოღების გეგმა შესრულდა 59 პროც.

	ამოღება		
	დავალება	შესრულება	%
სულ	1,280	756	59
ლენინის უბანი . .	520	253	49
სტალინის უბანი .	760	503	66

საშემოდგომო თესვა 5 ნოემბრისათვის

საქ. მიწსახკომის ცნობით, საქართველოში 5 ნოემბრისათვის საშემოდგომო კულტურები დათესილი იყო 252.177 ჰექტარზე, შესრულებული იყო გეგმის 93,1 პროცენტი. საბჭოთა მეურნეობებს დათესილი ჰქონდათ 16.058 ჰექტ. (104,3 პროც.), კოლმეურნეობებს — 79.754 ჰექტ., (96,9 პროც.), და ერთპიროვნულ მეურნეობებს — 156.365 ჰექტ., (91,8 პროც.).

რაიონების მიხედვით დათესილია:

	ჰექტ.	პროც.
ახალქალაქის	1.318	105,4
ახალციხის	4.313	101,2
ადიგენის	1.951	78
ტოლოშის	1.497	106,9
სტალინისის	18.526	89,3
გორის	17.693	99,3
კასპის	8.314	88,7
ბორჯომის	57	33,5
გურჯაანის	17.289	101,5
სიღნაღის	46.521	102,5
თელავის	21.060	100
ყვარელის	8.362	80,6
ლაგოდეხის	9.217	103
ტფილისის	21.127	100,1
ყარაიას	2.069	83,8
ბორჩალოს	7.508	68,3
ლიუქსემბურგის	5.550	75,4
დუშეთის	8.136	99,8
ალბულ.-მანგლ.	12.634	97,2
გარე-კახეთის	11.497	100,2
ბაშკიჩეთის	4.711	104,7
ერწო-თიანეთის	4.987	92,2
სამხრეთ-ოსეთში	11.153	91,2
ქუთაისის	488	88,4
სამტრედიის	95	25,3
ხონის	106	75,2
ვანის	84	86,6
ჭიათურის	1.590	61,2
ონის	1.697	65,3
ამბროლაურის	1.138	34,5
ცაგერის	1.316	60,5
სენაკის	12	37,5
ზუგდიდის	94	229,3
წალენჯიხის	4	7,1
ფოთის	25	250
აფხაზეთის	481	26,1
აჭარისტანში	164	—

გარდა ამისა გეგმის გარეშე დათესილი აქვთ ბაღდათის რაიონს 34 ჰექტ., ჩოლურისას—85, მარტვილისას—46, ხობისას—51 და ოზურგეთის რაიონს 9 ჰექტარი.

თესვის ვადები საბოლოოდ ამოიწურა. რაიონების მეტ ნაწილს კი თესვის გეგმა შესრულებული არა აქვს.

სექტორების მიხედვით ჩამორჩენილი არიან ერთპიროვნული მეურნეობები, რომლებსაც გეგმა შესრულებული აქვთ მხოლოდ 91,8 პროცენტით.

საჭიროა რაიონულმა ორგანიზაციებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა, მიწგანებმა და სასოფლო საბჭოებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ, რომ უახლოეს ხუთდღიურში თესვის გეგმა შეასრულოს როგორც თვითეულმა სოფელმა, ისე თვითეულმა ცალკე მეურნეობამ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს 12 ს. საქ. ცაკში ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით შესდგება გაფართოებული თათბირი ქუჩებსა და ტრამვაის მოძრაობის მოსაწესრიგებლად საჭირო ღონისძიებათა გამომუშავებისათვის და ბავშვთა ხულიგნობისა და ვაჭრობასთან ბრძოლის მიზნით. თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ალკკ ც. კ. მდივანი, ს. კ. პ. (ბ) ტფილ. კომიტეტის საგიტ. განყ. ამხ. კიდიაში, კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტის მდივნები, ტფილისის საბჭოს და ყველა რაისაბჭოს თავმჯდომარენი, ამხ. ბედია, რესპ. მილიციის უფროსი ამხ. წერეთელი და ქ. ტფილისის ყველა რაიმილიციის უფროსები. სკოლის ასაკამდე აღზრდის საქ. კოოპერაციის თავმჯდომარე ამხ. ნ. მახარაძე, საქ. პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარეები — „ბავშვთა მეგობრის", შოფერთა, კომუნალურ მუშაკთა და ავტოგზის, სოიუზტრანსისა და გზატრანსის უფროსები. რესპუბლიკის პროკურორი ამხ. ა. დოლიძე. ტრამვაის დირექტორი, ამხ. მირველოვი და ტრამვაის პარტკოლექტივის მდივანი.

11 ნოემბერს დღის 2 საათზე ც. კ-ის კულტპროპგანყოფილების გამგის ამხ. ორაგველიძის კაბინეტში შესდგება თათბირი ლენინის გარდაცვალებიდან 10 წლისთავის ჩატარების შესახებ. თათბირზე გამოწვეულნი არიან ამხ. მ. ტოროშელიძე, ბედია, აროშიძე, (ტფ. კომიტეტი), გ. ხაჭაპურიძე (სტალინის ინსტიტუტი), ა. ბრეგვაძე (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი), ბარონ ბიბინეიშვილი (სახელგამი), დ. ვოლსკი (პარტგამომცემლობა), აღნიაშვილი (სახუნტი), ბუხნიკაშვილი (განსახკომისარიატი), პაპავა (საქ. პროფსაბჭო), კომკავშირის ც. კ-ის წარმომადგენელი, კაკაბაძე („კომუნისტი"), რახმანი („ტიფლისკი რაბოჩი"), გაზეთ „ენიკენდის" და „პროლეტარის" წარმომადგენლები.

განათლების მუშაკთა სახლში 11 ნოემბერს საღამოს 8 საათზე შესდგება დოც. [illegible] მოხსენება ქართულ ენაზე: „კულტურული რეაქცია გერმანიაში და თანამედროვე გერმანული ლიტერატურა". შესვლა თავისუფალია.

11 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ტფ. კომიტეტის კულტპროპგანყოფილებაში მოწვეულია თათბირი საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის საკითხზე რესპუბლიკური თათბირისათვის ტფილისის მომზადების შესახებ. თათბირს უნდა დაესწრონ პარტიის და კომკავშირის ყველა რაიკომის კულტპროპგანყოფილებათა გამგეები, ტფილისის და რაიონული საბჭოების განათლების განყოფილებათა გამგეები, ამხ. [illegible] (ც. კ-ი), გოგუაძე და ასათიანი (განსახკომისარიატი), მეტრეველი (კომკ. ც. კ-ი), ქიაჩელი (მწერალთა კავშირი), გასვიანი (სახელგამი).

11 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ლენრაიკომის პარტკაბინეტში მოწვეულია საკანდიდატო პარტკოლების პროპაგანდისტთა პროფსემინარი თემაზე: საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მთავარი ეტაპები". აღნიშნულ სკოლების პროპაგანდისტებისა და პროფსემინარის ხელმძღვანელ ამხანაგების კვიცარიძის და ჭყუასელის დასწრება სავალდებულოა.

სახ. ოპერა	დღის, 12 აბ. 4 წ. სიმფ. კონცერტი ევგენი მიქელაძის ხელმძღვანელობით და [illegible] ცომაიას მონაწილეობით	12 ნოემბერს 1 აბონ. 3 წარმ **რიგოლეტო**	13 ნოემბერს 3 აბონ. 3 **ფაუსტი და ვალპურგიის ღამე**

ის აბონენტები, რომელთაც თავისი წარმოდგენის დღის 4 საათამდე არ ექნებათ გადახდილი მეოთხე, მორიგი გადასახდელი, კარგავენ წარმოდგენაზე დასწრების უფლებას.

რუსთაველის თეატრი	12 ნოემბერს 2 აბონ. 2 წარ. in tirannos	13 ნოემბერს 4 აბონ. 2 წარ. in tirannos	14 ნოემბერს 16 აბ. 1 წარ. in tirannos

სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათამდე.

დასაწყისი 8 ს. ნ. 40ა

მარჯანიშვილის თეატრი	11 ნოემბერს 6 აბონ. 2 წარ. **როგორ**	12 ნოემბერს აბონ. გარეშე **მზის დაბნელება საქართ.**	15 ნოემბერს 9 აბონ. 2 წარ. **მზის დაბნელება საქართ.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11—2 ს. საღამოს 6 ს.—10 ს. დეკემბრის 1 რიცხვამდე აბონენტების მიერ დაფარული უნდა იქნეს მე-3 გადასახადი.

საკინმრეწველო კინო-თეატრები:

ტემპი 6, 7-30, 9, 10-30	მხატ. ფილმი **სიკვდილის ბუხტა** პრ. გარ. ქრონიკა—„სადკო" ამოღებულია
ოქტომბერი—დღისით სეან. 12, 1-30, 4	საქკინმრეწვის ნაწარმოები **ნათელა**
რ. ლიუქსემბურგის 6, 7-30, 9, 10-30	მხ. ხმ ფილმი **ლამაზი სიცოცხლე** პრ. გარეშე – საბჭოთა ხელოვნება № 7
დამკვრელი ხამთრის 6, 7-30, 9, 10-30.	მხატვრული ისტორიული ფილმი **მისი უდიდებულესობის სოლისტი**
ოქტომბერი—ხმოვანი 6, 7-30, 9, 10-30	ხმოვ ფილმი **ღამის დამძლევნი** პრ გარ. ხმოვ. ჟურნალი № 23
პარტაკი 6, 7-30, 9, 10-30	**ახალი ამერიკ. კომედ. საღამო** პრ. გარ.—სტრატოფეროში გაფრენა
26-ის სახელობის ავლაბარში 7-30, 9, 10-30	ძხ. ფილმი **უკანასკ. ატრაქციონი** პრ. გარეშე—სოიუზკინოს ჟურნ. № 27
მეცნიერება და ტექნიკა	სამეცნიერო პოპულარული ფილმი **სამუშაო დროის შესწავლა**
საბავშვო კინო დღის 12 და [illegible] საათზე	საბავშვო ფილ. **გარი პოლიტიკოსობს** პრ. გარეშე ჟურნალი პიონერი

11 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე
მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის
ქუჩა № 13) შესდგება
ოქტომბრის 16 წლისთავის
აღსანიშნავი

საზეიმო სხდომა

„ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა მწერლობა"
მომხს. ამხ. კ. **ორაგველიძე**

მწერლების გამოსვლები:
მონაწილეობას მიიღებენ—**შ. რადიანი, ტ. ტაბიძე, ნ. მიწიშვილი, ლ. ქიაჩელი, პ. იაშვილი, სიმ. ჩიქოვანი, პ. ქიქოძე, ბენ. ბუაჩიძე, ს. ეული, კ. ლორთქიფანიძე, ს. შანშიაშვილი, კ. კალაძე, ალ. ჭეიშვილი, შ. დადიანი, ს. თალაკვაძე.**

აგრეთვე სიტყვას წარმოთქვამს ცნობილი რუსი მწერალი ქალი **ოლღა ფორშ.** სახელგამის წარმომადგენელი **ლ. გასვიანი,** „ფედერაციის" წარმომადგენელი **ი. ლისაშვილი** და სხვ.

⁂

ზესტაფონის ფერომარგანეცის წარმოებაში კავშირის მიერ გაგზავნილ მწერალთა ბრიგადის წევრების შემოქმედებითი ანგარიში: **რ. ვატაძე, ფრ. ნარიუშვილი, შ. სოსლანი, ლ. ასათიანი, მ. პატარიძე.**

⁂

საბჭოთა მწერლები და პოეტები წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებებს.

რიონჰესის-ზაჰესის კავშირგაბმულობის მომსახურეობის გასაწევად

სასწრაფოდ საჭიროა:

ინჟენერი, ტექნიკი, 2 მექანიკი და 11 მონტიორი
(კავშირგაბმულობის სპეციალისტები)
მიღებულნი პირნი წინასწარ იქნებიან გამოცდილნი.

აქვე საჭიროა ბუხჰალტერი საწარმოო სტაჟით, მთავარ ბუხჰალტერის თანამდებობაზე.

მიღების პირობების გაგება შეიძლება საქ. კვანძის ელგადამცემი ხაზების ქვესადგურების დირექციაში, კამოს ქუჩა № 28.

119 **დირექცია.**

თანახმად სასკოლო მუშაობის შესახებ საქ. განსახკომის განკარგულებისა

სახელგამის მიერ გამოცემულია და იყიდება სააღრიცხვო წიგნი სახელწოდებით:

„დღიური ცნობების ჟურნალი"

ევალება ყველა ტიპის სკოლის გამგეს შეიძინოს აღნიშნული წიგნი და 1 ნოემბრიდან აწარმოოს მისი ყოველდღიური შევსება.

ნ. 472 **განსახკომი. სახელგამი**

სამუდამოდ გულმოკლული ცოლი მატრონა, შვილები: ანტონი, თამარი ნინა, დედა ელისაბედი ჯანგიძეები იუწყებიან, რომ 1 ნოემბერს 3 საათზე, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ ტეხ.
მიხეილ ანტონის-ძე ჯანგიძის
ხსოვნის აღსანიშნავად კუკიის სასაფლაოზე 201

12 ნოემბერს 12 ს ქ. ქუთაისში, ოლასკურის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ექიმის
ევგენია ბუაძის
ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც იუწყებიან გაუბედურებული დედა ნუშკა, ძმები გიორგი, ქოჩია, დები თინა ქმრით გოგუცა მარგალიტა, რძლები: თამარი ქენია 199

გაუბედურებული ცოლი ნადინა დედა ანტიოფი, დები: ნუცა, თალიკო, მარუსა, ბაცალა ქმარშვილით, ძმები გრიშა შურა. სოსიკო სულიკო ცოლშვილით იუწყებიან
შალიკო ვასილის-ძე ჯაფარიძის
ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება გოგოლის ქ. № 66, 11 ნოემბერს 4 ს. ვერის სასაფლაოზე. 134

დამწუხრებული ასალო და მაკრინე ჯანელიძე შვილებით. დიმიტრი, ანტონ, პლატონ კოტე თედო ცოლშვილით: ელპიდა ლომთათიძისა, გოგოცა პაპავასი იუწყებიან ძვირფასი სიძის
ანდრო ნემსაძის
ტრაღიკულად გარდაცვალებას, დაკრძალვა ასკანაში 11 ნოემბერს 138

თავზარდაცემული ცოლი ელიჩკა ჯანელიძის ასული ნემსაძისა შვილებით მადონა, პატკუ და პაწაწინა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი ქმრის და საყვარელი მამიკოს
ანდრო მასიკოს ძე ნემსაძის
ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ასკანაში 11 ნოემბერს 138

გულმოკლული ცოლი ტერეზია, შვილები: ელენე ქმრით. რაისა, ლიუბა. გიორგი ცოლშვილით მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 14 ნოემბერს დანიშნულია
ნიკოლოზ უტას-ძე გეგენავას
სამოქალაქო პანაშვიდი სოფ. გეჯეთში (სენაკის რაიონი) ნ. 47

გულმოკლული მეუღლე ლადო, დედამთილი აგრაფინა, მულები: ფუცუ და გოგონა ებრალიძეები, უმანკო, მიტო, ლამარა ქეიშვილები იუწყებიან, რომ 12 ნოემბერს 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ქეთო ებრალიძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 132

დამწუხრებული შვილები: მარო ქმრით ლაზო ბედოევი, მაშო, ანნა და მელიკო იუწყებიან, რომ 12 ნოემბერს, 2 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ მშობლების
სოფიო და იოსებ გიგაურების
ხსოვნის აღსანიშნავად. 128

ღრმად დამწუხრებული დედა ლიდა, და ოლღა, ძმა ამბროსი აუწყებენ ყველა ნაცნობებს, რომ 12 ნოემბერს 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას
ნიკოლოზ ალექსის-ძე ლაშხის
ხსოვნის აღსანიშნავად, 135

დამწუხრებული ბიძა ნესტორი, ბიცოლა სურათა, ბიძაშვილები: მიხა, ევგენი, ვალენტი, იასონი, ანასტასია, მარიამი იუწყებიან, რომ 12 ნოემბერს 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
ნიკოლოზ ალექსის-ძე ლაშხის
ხსოვნის აღსანიშნავად. 135

თავზარდაცემული ელიკო, ლეო და კუკური კორძაიები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას პირველის შვილიშვილის მეორეთა დისშვილის საყვარელ
გივი (სანჩო) გელაშვილის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 10 ნოემბერს ს. მანდაეთში. 203

ღრმად დამწუხრებულნი: ცოლი ვერა შვილები: ბენია, საშა, რძალი ასია იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი
სოლომონ ბახუტის-ძე ინწკირველი
დაკრძალვა 12 ნოემბერს, საღამოს 4 საათზე ლაზარევის ქ. № 77. 199

გულმოკლულნი დედა ანეტა მამა კონსტანტინე, ძმები ტარიელი, მამია, რძალი იულია ვაჟით ბესიკოთი, და ოლია იუწყებიან, რომ 12 ნოემბერს 3 ს. ს. საქარიქედში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უსაყვარლესი
ნესტორ კონსტანტინეს-ძე მაჭავარიანის
ხსოვნის აღსანიშნავად. 129

უახლოესი მეგობრები: მანია ანჯაფარიძე, ქსენია იმნაძე, ქსემიდა და ქატულა კალანდაძეები იუწყებიან, რომ მუდამ დაუვიწყარ
ელენა შარაშიძის
სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება 12 ნოემბერს, დღის 3 ს. ვერის სასაფლაოზე. 214

მარიამ მგელაძე ღრმა თანაგრძნობას უცხადებ და-ძმას ნინა და ლავრენტი მესხიშვილებს საყვარელი დედის
ელისაბედ მესხიშვილის
გარდაცვალების გამო. 202

სამუდამოდ გაუბედურებულნი მშობლები: სერგო, დარო, დები ანო და ნინა, ძმები: გიორგი და შალვა აუწყებენ საზოგადოებას მათი ძვირფას და დაუვიწყარ
ზაქარია ნაცარაშვილის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქ. თელავში. 137

მწუხარებაში მყოფი და პოლინე, სიძე პანტელეიმონ ძნელაძეები, ბიძა დათა, ბიცოლა [illegible] კუკულაძეები, სერგო ჟღენტი იუწყებიან, რომ
კატუშა დოლიძის
ხსოვნის აღსანიშნავად 12 ნოემბერს ქ. ლანჩხუთში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. 130

შვილი ლუკა, რძალი მინადორა და შვილი შვილი ჟორა უზომო მწუხარებით იუწყებიან უძვირფასესი
ციცინო დავითაიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 11 ნოემბერს 5 ს. ლენინის ქ. № 54, ვერის ახალ სასაფლაოზე. 133

სამუდამოდ გაუბედურებული აღმზრდელი და პელაგია და კაპიტონ ჟღენტები იუწყებიან, რომ 12 ნოემბერს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ უდროოდ დაკარგულ
ელენე არჩილის-ასულ შარაშიძის
ხსოვნის აღსანიშნავად ვერის სასაფლაოზე 4 საათზე. 98

თავზარდაცემული მამა იაკობი, დედა ვარვარა. ძმები: სერგო ცოლი ევგენიათი, მიხეილი, ბიძა ივანე ცოლი სათოთი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი
მარო (მარუსა) სააკოვი
დასაფლავება ქ. სიღნაღში დღეს 5 ს. 21

გაუბედურებული დედა თინა, მამა სეფე, და ლეილა, ძმა კოტე, ბაბუა კონსტანტინე, ბებია მართა, ბიცოლა შურა შვილებით გელაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი
პატარა გივი
დაკრძალვა ს. მანდაეთში. 203

დამწუხრებულნი: დედა ოლიმპია, და ელენე, ძმები: სიმონ, ტრიფონ, ალექსანდრე, რძლები: თამარი, ნინა, ძმისწული ლუტუთი იუწყებიან, რომ 12 ნოემბერს 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ ინჟენერ
პავლე ნესტორის-ძე წერეთლის
სამოქალაქო პანაშვიდი. 21 139

ამხ. აბ. ენუქიძის სახელობის ინდუსტრიალური ტექნიკუმის ადგილკომში გაერთიანებული მუშა მოსამსახურეთა და მასწავლებელთა კოლექტივი აუწყებს საზოგადოებას ამავე ტექნიკუმის მასწავლებელ ინჟ. ნ. თუხარელის მამის
სიმონ გიორგის-ძე თუხარელის
გარდაცვალებას. 197

დამწუხრებული დედა ნატალია, ძმა გიორგი, სიძე ვანო ცაგარელი შვილებით იუწყებიან, რომ [illegible] გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი
შალიკო ლორთქიფანიძე
სამოქალაქო პანაშვიდი და ურნის დაკრძალვა 12 ნოემბერს 1 საათზე, სოლოლაკი-კათოლიკების სასაფლაოზე. 212

გულმოკლულნი მშობლები: გერასიმე, ლოლია შვილებით: გულნაზი, ბიჭანჭური ირაკლი, ბებია, სონა, ბიძები: იროდიონი ცოლშვილით, გივი ლომთაძე იუწყებიან, რომ 12 ნოემბერს 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ
ცირა ქავჟარაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 141

დამწუხრებული დედა სონა, ძმა გივი, დები: ლოლია და ვერიჩკა, სიძეები: გერასიმე და ბაგრატი შვილებით იუწყებიან, რომ 12 ნოემბერს 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ
ქეთო ლომთათიძე-ებრაელიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 141

საქართველოს სპეც-მომარაგების კანტორის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ამავე კანტორის თანამშრომლის გიორგი სიმონის-ძე თუხარელის მამის
სიმონ თუხარელის
გარდაცვალებას. 211

თავზარდაცემული მეუღლე კარპო ჩუბინიძე, მშობლები: ტროფინე, ელისაბედი, ძმა ჯიმშეთი და ახიჩკა, ბიძაშვილები: ამროსი, ნოე, სერგო, რძალი მერი რამიშვილები იუწყებიან ძვირფას
ქსენია რამიშვილი-ჩუბინიძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სახანოში მოხდა 7 ნოემბერს. 126

უახლოესი მეგობრები: ვარდო იმნაიშვილი, ვალია და პროკოფი ჯაფარიძეები ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ ქეთო ქაჯაიას მისი ქმრის და მეგობრის
აბესალომ ჩხიკვაძის
უეცრად გარდაცვალების გამო. 125

გულმოკლულნი: მეუღლე ნინა, მშობლები: სიმონი, დაფინო, ძმები: გოგია, ბიქიკო, დები: ელიკო, ტატიანა, თამარა, ქეთო იუწყებიან საყვარელ
კოლია სიმონის-ძე ბარბაქაძის
გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდა 8 ნოემბერს, კუკიის სასაფლაოზე. 124

ძმები, სუსანა კომპანიონები ნინა, ვენედიქტე ცინცაძეები, მარიამ, ქრისტეფორე თურმანდიშვილები ოჯახობით იუწყებიან, რომ 12 ნოემბერს 1 საათზე, ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ დის
სოფიო ფეიქაროვი-კომპანიონისა
208

საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის ფაკულტეტის მე III კურსის მე 26 ჯგუფის სტუდენტები უღრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ ამავე კურსის სტუდენტის ალიოშა ჯორბენაძის ძმის
მიშას
უდროოდ გარდაცვალების გამო. 200

დამწუხრებული მშობლები ზაქარია, სოფიო, დები: თამარა, ელენე ნინო ქმარშვილებით, ძმები: სოლომონი, გიგა, არჩილი ცოლშვილებით იუწყებიან, რომ 11 ნოემბერს 5 ს. ავლაბრის სასაფლაოზე დანიშნულია
ქეთევან ზაქარიას ას. ელერდაშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი.

დამწუხრებული მეუღლე ეფროსინე შვილებით: შურა, ირაკლი დათიკო რძლით: ვერათი იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
ნესტორ დიმიტრის-ძე ჩხეიძე
გამოსვენება 12 ნოემბერს ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან 5 ს. დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე. 207

მელანია ჯინორიძისა, მარია ხოტივარისა, ნინუცა ხოჭოლავასი, ეკატერინე ხუსკივაძისა და ნატალია თურქია იუწყებიან, რომ 12 ნოემბერს 12 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია მათი საყვარელი ძმის
ივანე მათეს-ძე თურქიას
სამოქალაქო პანაშვიდი. 205

ღრმა მწუხარებაში მყოფი მეუღლე მეტია იმნაიშვილი-ჩხეიძისა იუწყება, რომ 5 ნოემბერს გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი
ვანიჩკა მელიტონის-ძე ჩხეიძე
დაკრძალვა მოხდა კუკიის სასაფლაოზე 8 ნოემბერს 205

ღრმა მწუხარებით აუწყებენ შვილები: ნინო და ლავრენტი ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 8 ნოემბერს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი დედა
ელისაბედ გიორგის ას. მესხიშვილისა
დაკრძალვა დღეს გამოსვენება რიონის ქ. № 37, 4 საათზე. 210

დამწუხრებული დედა ლიუბი ძმა კოსტა, რძალი ნინა, ძმისშვილები: ნოდარი და ქუჩუჩი დოლიძეები აუწყებენ საზოგადოებას უდროოდ დაკარგულ
კატუშა დოლიძის
ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ლანჩხუთში 12 ნოემბერს. 130

დამწუხრებული ცოლი ანნა, შვილები: მარო, ნადია, შალვა, გიორგი. შოთა, სიძე ვასია აბუსერიძე შვილებით იუწყებიან
რაჟდენ იოსების-ძე ალდაფაძის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 11 ნოემბერს 5 ს. ყუბანის ქ. № 18, დასაფლავება 12 ნოემბერს 4 ს, კუკიის სასაფლაოზე. 131

ბიძა იოსებ ლოლაძე ცოლშვილით გოგი და თამარა შალაშვილები იუწყებიან, რომ 12 ნოემბერს ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ
ქეთინო გოგოლაშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად. 196

დამწუხრებულნი: სიძე, სანდრო, შვილი თამარა, შვილის შვილები; ელიკო, ოთარი და ნათელა ჩანადირეები იუწყებიან საყვარელი სიდედრის და დედის
ვარინკა სიმონის-ასული შავერდაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 12 ნოემბერს 4 ს, 9 იანვრის ქ № 16 (ყოფ. ლიუტერანის) კუკიის სასაფლაოზე 143

გულმოკლულნი დედა ივდითი, მეუღლე ნინო შვილებით გოგოლაძეები სიდედრი და ცოლისდა გოგოლაშვილები იუწყებიან, რომ ვერის სასაფლაოზე 12 ნოემბერს 3 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ექიმ გერვასი გოგოლაძის
ხსოვნის აღსანიშნავად 195

ბიძები ექიმი კონსტანტინე; ბესარიონ, დავით ტარიელისძენი და ბიძაშვილი სერგი კონსტანტინეს ძე ლორთქიფანიძენი ოჯახობით მწუხარებით იუწყებიან საყვარელ
შალვა ილარიონის ძე ლორთქიფანიძის
უდროოდ გარდაცვალებას. ურნის დაკრძალვა კათოლიკების სასაფლაოზე სოლოლაკში 12 ნოემბერს 1 ს. 142

დამწუხრებული მეუღლე დავითი, შვილი მელიტონი, ცოლი ანეტა შვილებით: შალიკო, ვალოდია ჯუმბერი და ჯიუ ახვლედიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი აღმზრდელი
მეტია გიორგობიანი-ახვლედიანისა
დასაფლავება ს. ლაილაში. 140

თვალცრემლიანი მეუღლე თამრო, შვილები მერი, ნინო შვილებით აუწყებენ საზოგადოებას რომ 12 ნოემბერს 3 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ნიკოლოზ და ქეთინო გოგოლაშვილების
ხსოვნის აღსანიშნავად 195

დამწუხრებული სოფო მირიანაშვილისა ქმარშვილით იუწყებიან, რომ დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ნიკოლოზ და ქეთინო გოგოლაშვილების
ხსოვნის აღსანიშნავად, 12 ნოემბერს 3 ს ვერის სასაფლაოზე 195

დამწუხრებული ქალები: მარგო და ლუსიკა, სიძე ვანო ქარელი, ძმები: ვახტანგი, სუმბათ, თომიკო და დედა კატუშა ქარელები ძმები: სტეპკო და ილიკო თავიანთი ოჯახობით მურადოვები იუწყებიან
ელისაბედ პეტრეს-ასულ ხაჭანოვის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ცხინვალში 209

აბაშის რაისაავადმყოფოს ექიმები ა ჩოჩია გ. ჯორჯიკია. დ იოსელიანი, ვ. ჩახავა, ვ. თოფურია, ა. ფალავა და ა. ნადარეიშვილი უცხადებენ თანაგრძნობას ამხ. ვალოდია ნოდიას მისი მამის
ბახვა ნოდიას
გარდაცვალების გამო. 136

რ. არაქელოვი. ა. ახობაძე, დ ბლაგიძე. ქ. ბუაჩიძე. ვ ბახტაძე, ვ. კაკაბიძე ძ. კაკაბაძე. დ. ებანოიძე, გ. ნაფეტვარიძე გ ოქროპირიძე მ, პირიკიანი. ი. პეტრაკოვსკი და კ. ქიტკოვსკი თავიანთ ოჯახობით მწუხარებით იუწყებიან მეგობრის ინჟ ნიკო თუხარელის მამის
სიმონ გიორგის-ძე თუხარელის
გარდაცვალებას 198

სტამბა „კომუნისტი". კამოს ქ. 68.
მთავლიტის რწმუნებული ა 1500